ეროვნული
ბიბლიოთეკა

ევგენი დალეჯიო დ'ალესიო.

ქართველები
კონსტანტინეპოლში

(ფრანგულიდან)

პ. შალვა ვარდიძისა

სტამბოლი
საბეჭდავი კათოლიკე ქართველთა სავანისა.
1921 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ევგენი დალეჯიო დ'ალესიო.

ქართველები
კონსტანტინეპოლში

(ფრანგულიდან)

პ. შალვა ვარდიძისა

სტავგოლი
საბეჭდავი კათოლიკე ქართველთა სავანისა.
1921 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამი ცალი დაიბეჭდა
ჰოლანდიის ქაღალდზე.

F13:740
4

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენ რომ ტკბილათ მინარნარებ
სამუდამო მეგობრობას,
შენთვის ვბეჭდავ ამ ჩემ წიგნაკს,
რომ მიწევდეს შენ წინ მდგნობას.

ავტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინასიტყვაობა

ამ წიგნის ავტორი, ევგენი დალეჯიო დ'ალესიო, ვენეციის წარჩინებული დიდი ოჯახის ჩამომავალია. მისი წინაპრები, მეოთხე ჯვაროსნობის დროს, 1204 წელს, გადასახლებულან კუნძულ სირაზე, როდესაც ვენეციელებმა და გენოველებმა გაინაწილეს საბერძნეთის არხიპელაგიის კუნძულები. მეთვრამეტე საუკუნის დამლევს ევგენის წინაპრების ერთი შტო სირა კუნძულიდან გადმოსულან კონსტანტინეპოლში, სადაც, 1888 წლის 7 ღვინობისთვეს დაბადებულა ამ წიგნის ავტორი.

საშუალო სწავლა აქვს მიღებული კონსტანტინეპოლშივე. მაგრამ, როგორც ნიჭიერმა ახალგაზდამ, მეცადინეობას თავი არ დაანება. რაც შეეხება ისტორიას და არხეოლოგიას, განსაკუთრებით კონსტანტინეპოლის წარსულს, საკმარისათ შეუთვისებია. ჯერ კიდევ ოცი წლისა იყო, როდესაც აქაურ ცნობილ გაზეთ „La Turquie"-ში სწერდა თავის ისტორიულ გამოკვლევებს კონსტანტინეპოლზე.

1912 წლის 5 მკათათვეს, პარიჟის Académie des Inscriptions et Belles Lettres-ში ცნობილ არხეოლოგ გ. პეროთ (G. Perrot), რომელიც იმავე დაწესებულების მუდმივი მდივანი იყო, წაიკითხა ჩვენი ავტორისგან გაგზავნილი მოხსენება ბიზანტიის იმპერატორების დიდი სასახლის ნანგრევებზე, რომელი ნანგრევებიც პირველათ ამისგან იყო შენიშნული და გამოკვლეული.

ბ. ევგენის განსაკუთრებითი ყურადღება მიუქცევია კონსტანტინეპოლის ლათინთა არხეოლოგიაზე. წევრია საქართველოს ისტორიის და არხეოლოგიის ეროვნულ საზოგადოებისა და აგრეთვე კონსტანტინეპოლში არსებულ ლიტერატურულ სილოგის არხეოლოგიურ განყოფილებისა. იცის ბერძნული, ფრანგული, იტალიანური, ინგლისური და თათრული ენები.

როდესაც 1918 წელს საქართველოს დიპლომატიური მისია ჩამოვიდა კონსტანტინეპოლში, მაშინ გასცნობია ექიმ ვახტანგ ღამბაშიძეს, რომლის საშუალებით იმავე მისიაში მდივნათ შესულა. დღესაც ჩვენ საკონსულოში იმავე თანამდებობას ას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულებს. მიიღო საქართველოს მთავრობის ქვეშევრდომობა, იმგზავრა საქართველოში, ისწავლა ქართული ენა, გაეცნო ქართველ საზოგადოებას და ქართველი ერის კულტურას და ცხოვრებას.

ცხოვრების ამ ახალმა მიმდინარეობამ მისცა ბ. ევგენი დალეჯიო დ'ალესიოს ღრმა პატივისცემა ქართველი ერისადმი და საქები წადილი ქართველი ერის წარსულ ცხოვრების გაცნობა—შესწავლისა; მაგრამ ამისათვის, აქ ქონსტანტინეპოლში, ყველა საშუალებას მოკლებული იყო. ხოლო, რადგან შესაძლებელი იყო ყურადღება მიეპყრო ძველადგან აქ მყოფ ქართველების ისტორიისადმი, დაუყონებლივ შეუდგა ამაზე ცნობების მოძებნა-შეკრებას. როგორც მცოდნე აქაურობისა, მისთვის უფრო ადვილი იყო მიემართა იმ საისტორიო წყაროებისთვის, რომელთაც სხვა უცხო ადვილათ ვერ მიაგნებდა.

სულ შემთხვევით გავეცანი ამ მის პატარა თხზულებას, ფრანგულ ხელნაწერს, რომელიც იმდენათ საყურადღებოა, რავდენადაც ამ სახის ნაწარმოები დღემდის არ ყოფილა. თუმც მართალია, ჯერ კიდევ ბევრი ძიება და მასალის შეგროვებაა საჭირო, რათა ეს საკითხი ერთხელ და სამუდამოთ გაშუქდეს და დაინტერესებულთ გააცნოს საფუძვლიანათ კონსტანტინეპოლის და ოსმალეთის ქართველების ბნელი ისტორია, მაგრამ ჯერჯერობით რავდენადაც შესაძლებელი იყო, იმდენათ გამოიკვლია ეს საინტერესო საკითხი ჩვენმა ავტორმა. ბ. ევგენის თხზულება მით უმეტეს პატივსაცემია, რომ იგი ტომით უცხო, დაინტერესდა აქ გადმოხვეწილ ქართველების წარსულზე. თუ საკითხი სავსებით არ არის ამოწურული ამ წიგნში, ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ, ბ. ევგენი დალეჯიო დ'ალესიო არ დაიზარებს, განაგრძობს თავის კვლევას და ახალ უფრო ფართო ხასიათის შრომას წარუდგენს ქართველ საზოგადოებას.

პ. შალვა ვარდიძე.

მაისი, 1921 წელი.
სტამბოლი, ფერი-კეი, ქ. კ. სავანე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესავალი

ამ პატარა წიგნში შემოვკრიბე და ნათლათ დავალაგე ყველა ის ცნობები, რომლებიც შეეხებიან ოსმალეთში მყოფ ქართველებს და განსაკუთრებით ის საბუთები, რომლებიც დღემდის გამოუკვლეველნი და გაბნეულნი იყვნენ კალიფების და სულტნების ტახტის ქალაქათ ქცეულ ძველ ბიზანტიაში.

ეს წიგნი, 1920 წლის დამლევს დამთავრებული მქონდა; სხვა და სხვა მიზეზების გამო დღემდის ვერ გამოვეცი. მაგრამ ფრანგები იტყვიან—გვიანი სჯობია სულ არას. დღეს ვაქვეყნებ ცოტათი შესწორებულს და გაფართოებულს, დარწმუნებული, რომ ეს ჩემი მცირე შრომა, ცოტათი მაინც დააინტერესებს, არა მარტო იმ ქართველებს, რომელთაც ეს ისტორიული ქალაქი ინახულეს, არამედ ყველა მათ, რომელნიც ოდესმე მოიწადინებენ აქ მოსვლას. ეს წიგნი იბეჭდება, არა მარტო ამათთვის, არამედ სტამბოლის ყველა მეგობრებისთვის, რომლებიც ასე თუ ისე ყურადღებას აქცევენ ამ ქალაქის ყოველნაირ წარსულს. პატივცემული მკითხველი, უსათუოთ აღმოიკითხავს ამ ფურცლებზე თუმც მცირეს, მაგრამ კონსტანტინეპოლის ისტორიისათვის ახალს და საყურადღებო მასალას. საჭიროდ არ დავინახეთ აღგვეწერა სტამბოლი და მისი მეჩეთები, როგორც დიდის ხელოვნებით აღგვიწერეს და დაგვისურათეს სხვა და სხვა მწერლებმა; არც არას ვიტყვით ბაზილევთა, იმპერატორთა, უძველეს დედა-ქალაქის ბუნებრივ სილამაზეზე.

საქართველო, თავისი ურიცხვი ტყით მოსილ ბორცვებით და უხეათ აღორძინებულ მცენარეებით, თავისი ბრწყინვალე მზის ქვეშ ფართეთ გადაშლილ და ბაღებათ ქმნილ მინდვრებით, თავისი თვალ-წამტაცი და ფერადოვანი ყვავილებით, თავისი ბუნებრივ სიმდიდრით და ხელოვნებით, უფრო უაღრესი, უფრო მიმზიდველ-მომხიბვლელი შეხედულობისაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ გვწამს, როდესაც ზოგიერთი მეცნიერი, ქვეყნის სამოთხეს, საქართველოს ამა თუ იმ კუთხეში გვიჩვენებს.

ხოლო, ამ დიდებულ ქალაქზე შეგვეძლო გვეთქვა ჩვენი პიროვნული შთაბეჭდილებები და ბევრი სხვა საისტორიო ახალი ცნობები, რომლებიც, დარწმუნებული ვარ, ამ წიგნის მკითხველსაც დაინტერესებდა; მაგრამ თავი შევიკავეთ, რადგან მიზან-შეწონილი არ იქნებოდა ამ წიგნთან, რომლის საშუალებით მსურს მხოლოდ ქართველებზე და მათ წარსულზე საუბარი.

დასასრულ, ამ წიგნის გამოცემის დროს, დიდი თანაგრძნობა და თანამშრომლობა აღმომიჩინა პ. შალვა ვარდიძემ, რომელმაც, ჩემი ფრანგული ხელ-ნაწერის თარგმანის დროს, შემატავინა სხვა და სხვა საყურადღებო ცნობები, სხვათა შორის ვეზირ-ხანის დასასრულზე, ფერი-კვეის სავანის მიზანზე და ისტორიულ მხარეზე, და სულ განსაკუთრებით მისგან ცნობილ მუსულმან ქართველების მდგომარეობაზე. ამ წიგნის პირველი თავის პირველი და მესამე ნაწილი თითქმის ერთიანათ მას უნდა მიწეროს.

ავტორი.

26 მაისი, 1921 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველები კონსტანტინეპოლში.

თავი პირველი

I. ურთიერთობა საქართველოს და ბიზანტიას შორის. ქართველების უფლება და ბინა.

ბოსფორის შემოსავალ ნაპირას, მაღლა გორაზე, ერთი უძველესი ციხე, თავისი შემუსვრილ და ხავს-მოკიდებული გოდოლ—სიმაგრეებით წამომდგარია ღა სევდიანი ზღვას გადმოსცქერის. მონავალ ქართველ მგზავრს, ამის დანახვაზე, უთუოთ გული აღეძვრის, რადგან მოაგონდება ის ციხე-კოშკები, რომელთაც ყოველთვის ხედავდა თავის სოფელ-ქალაქში, ანუ მახლობელ დახურულ ტყეში და უფრო ხშირათ ღელე-მდინარეების ნაპირას და კოხტა მთა-კლდეების სიმაღლეებზე. ამ მოგონებაზე გული აღეძვრის, რადგან ყველა ეს ციხე-კოშკები ქართველი ერის სხვა ნაშთებთან ერთათ, არიან ცოცხალნი მოწმენი საქართველოს და მისი ხალხის იმ წარსულისა, რომელსაც ჰქონდა ერთ დროს წუთები დიდება—სიქადულისა და ტანჯვა—მწუხარებისა.

საქართველოს და ბიზანტიას შორის ამ მიმსგავსების, შემაერთებელ ხაზის გარდა ქართველი მგზავრი სხვას ვერასფერს იხილავს კონსტანტინეპოლში ჩამოსვლამდის. ხოლო იგივე არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ითქმის ამ უდიდეს ძველ ქალაქზე, რომლის კალთებს ყოველ-მხრივ ზღვის ტალღები ხან ეალერსებიან, ხანაც ემუქრებიან, და რომელიც თავისი ძველი შენობებით, სხვა და სხვა ნაშთებით და დანგრეულ ციხე-სიმაგრეებით მწუხარეთ სდუმს მონობაში—ცოცხალი სურათი საქართველოს ას ცამეტი წლის მონობისა.

ძველათ, როდესაც კონსტანტინეპოლი განათლების და სასოფლო მრეწველობის მთავარ ადგილთაგანი იყო, საქართველოს მუდმივი მიმოსვლა და კავშირი ჰქონდა ამ დედაქალაქთან.

ქართველი მეფეებიც დაკავშირებულნი იყვნენ ბერძნის იმპერიის მეფეებთან სხვა და სხვა ხელშეკრულობებით და თვით ზახლობა—ნათესაობით, რაიც როგორც საქართველოსთვის, ისე ბიზანტიასთვისაც ფრიად სასარგებლო იყო. მით უმეტეს, როდესაც მუსულმანთა ქვეყნები ყოველგან ამხედრებულნი იყვნენ საქრისტიანო ქვეყნებზე და განუწყვეტლივ, დიდის ენერგიით და მსხვერპლით, ცდილობდნენ გამეფებულიყვნენ ხმელთა შუა, მარმარას, შავი ზღვის ნაპირებზე და მთელ ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე, რის გამო დასავლეთის ხმელეთი, განათლებული ევროპა, კარ-ჩაკეტილი და შებორკილი რჩებოდა და მისი კულტურული და პოლიტიკური გავლენა სუსტდებოდა მცირე აზიის გზით მთელ აღმოსავლეთში.

ამისთვის მუსულმანები მარადის დიდის იერიშით ეკვეთებოდნენ ევროპის განაპირა განათლებულ ბიზანტიის იმპერიას, რომელიც ნელ-ნელა შეასუსტეს და შემდეგ ბოლოს დაიპყრეს და მასთანვე ერთათ პატარა, მაგრამ გმირ საქართველოს, რომელიც ერთიან ვერასდროს დაიმონავეს, თვით ბიზანტიის განადგურების შემდეგაც კი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუსულმანთა ლტოლვილება გათვალისწინებული ჰქონდათ, როგორც ბიზანტიის პოლიტიკოსებს, აგრეთვე მათ რომელნიც ქართველი ხალხის ბედ-იღბალს განაგებდნენ.

მაშ ძველათგანვე საქართველოს და ბიზანტიის დაახლოებაშეკავშირებას ორი უმთავრესი საფუძველი ჰქონდა—პოლიტიკური და ამასთან შესისხლხორცებული სარწმუნოებრივი საკითხები—რათა თავი დაეხწიათ პოლიტიკური და რელიგიური პანისლამის განსაცდელისაგან.

საქართველოს მეგობრული კავშირი ბიზანტიასთან უძველეს დროიდან იწყება. ჩვენის აზრით არგონავტები იყვნენ პირველნი, რომელთაც დაიწყეს მიმოსვლა საქართველოსთან შავი ზღვის გზით და მის შემდეგ არასდროს შეწყვეტილა, ვიდრე ოსმალთა იმპერიამ არ მოსპო ბიზანტია.

ორნაირი მიმართულების ბრძოლა სწარმოებდა ჩვენში: პირველი ილტვოდა დასავლეთისკენ, ბიზანტიისკენ და მეორე აღმოსავლეთ-სამხრეთისკენ. ქრისტიანობის მსოფლიოთ აღიარების დასაწყისში პირველმა სძლია მეორეს და განსაკუთრებით მესამე საუკუნიდან ბიზანტიის და საქართველოს კულტურული განვითარება მჭიდროთ შეკავშირდა.

ბიზანტიის შინაურ შუღლმა და შესუსტებამ თამარ მეფეს ახალი პოლიტიკური მიმდინარეობა მიაღებინა, რომლის წყალობით დაარსდა ტრაპიზონის იპერია. მაგრამ ვერც ამან იხსნა თურქებისგან ბიზანტია, და საბოლოოთ საწყალი საქართველო, როგორც კუნძული აბობოქრებულ ზღვაში, დარჩა ფანატიკოს მუსულმანთა საჯიჯგნავათ.

ბერძნებსა და ქართველებს შორის ჩვეულებრივ მეგობრული ურთიერთობა არსებობდა. ბერძნები თავისუფლათ ცხოვრობდნენ და ვაჭრობდნენ საქართველოში და აგრეთვე ქართველები ბიზანტიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონსტანტინეპოლის უცხო მცხოვრებელთა ანუ ახალშენთა უბანში, სადაც თავთავიანთი ბინა—კანცელარია ჰქონდათ, როგორც ვენეციელებს, პიზელებს და გენოველებს, ქართველებსაც მახლობლათ თავიანთი საკუთარი ბინა—კანცელარია უნდა ჰქონოდათ. დღეს დანამდვილებით ვერც ერთის ბინის განსაზღვრულ ადგილს ვერ უჩვენებთ, რადგან ის უბანი, სადაც მოთავსებული იყო დღევანდელ რკინის-გზისა და ძველი ხიდის შორის, ერთიან ძირიანათ გარდაქმნილია.

ჩვენ ვიცით ძველათ ქართველები ბლომათ ჩამოდიოდნენ კონსტანტინეპოლში; ეჭვ გარეშეა, ივერიას მუდმივი ელჩები ჰყავდა აქ და ამათაც თავიანთი საკუთარი ბინა უსათუოთ იმ მიდამოებში ექნებოდათ, სადაც ლათინთა ერების ბაილოები==კუნსულ—მსაჯულები—და მათი ახალშენების უფროსები ცხოვრობდენ *).

რაც შეეხება იმ უბანს, სადაც რუსები ცხოვრობდენ, სხვა ადგილი უნდა ვიგულისხმოთ. ამაზედ ფრანგი მღვდელი პარგუარი და ცნობილი უსპენსკი საყურადღებო ცნობებს გვაძლევენ.

ამ ორი მწერლის აზრით, რუსებისთვის მიჩინებული ყოფილა, ვფიქრობ მეხუთე საუკუნოებიდანვე, მამას (Mamas) ადგილი, დღევანდელი ბეშიკ-ტაში ბოსფორზედ, რადგან მათი ბინადრობა ბიზანტიის შიგ დედა-ქალაქში აკრძალული იყო, ვითომც და იმ დროიდანვე ამ ქალაქის ბატონ-პატრონებს რუსები მტრათ დაუსახიათ, რომელთაც ამ დიდებულ და მდიდარ დედა-ქალაქზე გაბატონების წადილი და ლტოლვილება აქვთ.

---

*) დღეს, როდესაც საქართველო განახლებული და დამოუკიდებელი შეიქმნა, ჩვენმა მთავრობამ დაარსა კონსტანტინეპოლში აფიციალური წარმომადგენლობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II. კონსტანტინეპოლის დაპყრობის შემდეგ ქართველი მუსულმანები ოსმალეთში და მათი რიცხვი.

თურქთა მიერ კონსტანტინეპოლის აღების შემდეგ, როდესაც ამათ სამხრეთი და დასავლეთი საქართველოს რაოდენიმე კუთხე დაიპყრეს, სულ ახალი მდგომარეობა შეიქმნა.

დიდ ძალი ქართველობა იძულებული გახდა ისლამიზმი მიელო და გავლილ საუკუნოებში მრავალი მათგანი ახალი რწმენის ფანატიზმით ანუ ცხოვრების პირობების სიმკაცრით თუ მოუხეშავი და უწყალო ძალ-მომრეობით, გადმოსახლდნენ ოსმალეთში და დაბინავდნენ შავი ზღვის ნაპირებზე, შიგნით ანატოლიის სხვა და სხვა კუთხეებში, სხვათა შორის იზმითის, ადაბაზარის და ბრუსის მიდამოებში.

დიდძალი ქართველი მუსულმანები სცხოვრობენ ოსმალეთში.

ოსმალეთის ქართველ მუსულმანების უმრავლესობა 1877-1878 წ. ომის დროს გადმოიხვეწა ბათომის და მის მოსაზღვრე ოლქებიდან, რომელთა რიცხვს მიემატა ეხლანდელ დიდი ომის დროის ლტოლვილებიც.

ტრაპიზონის ბერძენთ კომიტეტის აღწერილობით პონტის ფარგლებში სულ უკანასკნელი 53,380 ქართველი იქნება. სხვა აღწერილობით კი, სამსუნის და თოქათის მაზრებითურთ, ქართველებს მოშენებული აქვთ 64 ქალაქი თუ სოფელი. ვარაუდით ქართველების რიცხვი 140,000-მდე აჰყავთ, რასაკვირველია აქ არ გულისხმობენ ჭანებს (მეგრელებს).

ამის გარდა, ერთი მოზრდილი ნაწილი ქართველ მუსულმანებისა ცხოვრობენ კონსტანტინეპოლში და ამის ახლოს, აღმოსავლეთ-სამხრეთით, მარმარას ზღვაზე, იზმითის და ადაბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზარის ოლქებში და სამხრეთით ბრუსაში. ყოველგან სოფლის მეურეობას მისდევენ. ქალაქების მახლობელნი და ზღვის მონაპირენი საჭრობასაც აწარმოებენ. კარგათ აქვთ მოწყობილი თავიანთი სოფლები, ქართველ სოფლებს კილიკიაში ჰალეპის გზაზედაც შეხვდებით.

ამათი რიცხვი რომ მიუმატოთ შავი ზღვის ნაპირა მაზრებში მცხოვრებ ქართველ მაჰმადიანთა რიცხვს, ჩემის აზრით სამასიდან ოთხას ათასამდე ავა. ბერძენ-ქემალისტების დღევანდელ ომის დროს, იზმითის და ადაბაზარის ოლქებიდან, მობილიზაციით ვაწვეულთ გარდა, 7,000 თავისუფალი ქართველი მეომარია გამოსული.

III. ქართველ მუსულმანების ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა. ქართული ენა და წესები. სასულიერო სასწავლებელი — გურჯი-კაპუ.

ქართველები ყველგან, მთელს ოსმალეთში, კარგათ არიან მოწყობილნი. ეს იმით აიხსნება, რომ ოსმალეთში თავისუფალი სამოსახლო ადგილები ბევრი იყო. ისედაც რასიული გამჭრიახობა და კულტურა მეტი აქვთ მათ ვიდრე ანატოლიის მცხოვრებ თათრებს.

როგორც ახალი მასა, რომელიც დამჭირნე გახდა თავისი ცხოვრება უზრუნველ ეყო, დიდის ერთობით და ენერგიით შეუდგნენ მუშაობას. მათი ახალი სამოსახლოც ხელს უწყობდა როგორც ძლიერ ნაყოფიერი. დღე-ღამესავით განირჩევა ამათ კარმიდამო, სოფლები, ყანები, მინდვრები და ბაღები დანარჩენ მუსულმანების სოფლებისგან და მამულებისგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოვრებისათვის ბრძოლა დასჭირდათ; სადაც მათი ჯგუფი დიდი იყო, იქ ერთიან მოსპეს პირველ-ყოფილი ელემენტი, რომელიც მას ველარ ეომება ეკონომიურათ.

ქართველ მუსულმანების ეკონომიურათ დაწინაურებას ადგილობრივ მკვიდრ თურქებთან კიდევ იმან შეუწყო ხელი, რომ პირველებმა თავიანთი ზნე-ჩვეულება და ოჯახური ადათები წმინდათ შეინახეს. საერთოთ დაცინვით უყურებენ თურქებს და თავიანთში ქართულათ გაიძახიან—„თათარი კაცი არ გახდება“—თავიანთ თავს გურჯებს ეძახიან და ამით ამაყობენ. იშვიათია იმათში მრავალ-ცოლიანობა და იშვიათად, თითქმის არასდროს, სოფლებში თავიანთ ქალიშვილებს არ მიათხოვებენ თათრებს.

ამ საყურადღებო მიზეზების გარდა, ისიც უნდა არ დავიწყოთ, რომ ოსმალეთში გვაროვნობას და მაღალ სამსახურს დიდი ზედ-გავლენა აქვს მცხოვრებლებზე. ჩვენ ვიცით, რომ ოსმალეთის მთავრობაში დიდძალი ქართველი თავადობა იყო ან და თავიანთი გამჭრიახობით და ენერგიით მოიპოეს ფაშობის სახელ-წოდება და მაღალი სამსახურის ადგილები.

ქართველი ფაშები და მოხელეები თუმც ცხადათ არა, მაინც ყოველ ღონისძიებით იცავდნენ თავიანთ გურჯებს. ამის უნარი შესწევდათ, ვინაიდან მთელ ოსმალეთში ყველა დარგში და სამსახურში შეხვდებით თითო-ოროლა ქართველ მუსულმანს.

ხშირად ქართველ ფაშების, მინისტრების, დეპუტატების, სენატორების, გუბერნატორების, ღენერლების, ოფიცრების, და სხვა სამსახურის პირებს, თავიანთი პიროვნული პოლიტიკა და მისწრაფება ჰქონდათ. მთელ ოსმალურ ცხოვრებაში ჩარევა მათ არასდროს არ ავიწყებდა თავიანთ გვაროვნულ მეს და ინტერესებს, თუმც ოსმალეთის მთავრობა მარადის სასტიკ მტრულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალ-ყურს ადევნებდა, რადგან ეშინოდა ქართველ მუსულმანების—გურჯების, პოლიტიკური სიძლიერის განვითარებისა. მთელ იმპერიაში, ყველა ასპარეზზე გურჯების პატივისცემა და რიდი ყოველთვის ყოფილა.

ქართველთ სამშობლო ენა მაინც დღემდის შენახული აქვთ, თუმც ოსმალეთის მთავრობა იმათ გათურქებას ძალიან სცდილობს. ქართველ მუსულმანთა სოფლებში ყველა ოჯახის ენა—ქართულია. რადგან ქალი საზოგადოებაში ვერ გადის და ასე თუ ისე თურქებთან დიდი მიმოსვლა არა აქვს, სამშობლო ენა დღემდის დაცულია; მხოლოდ დღეს ქართულ ენასაც დიდი განსაცდელი მოელის. შკოლების საშუალებით მათშიც ვრცელდება თათრული ენა.

საკმარისათ ხშირათ შეხვდები ქართულ წერა-კითხვის მცოდნესაც. საერთოთ ბევრს ძალიან სურს ისწავლოს ქართული წერა-კითხვა, ან და ვინც უკვე იცის ქართული წიგნები იკითხოს; მაგრამ ამ მხრივ საწყალი გურჯები მთლათ მიტოვებულნი არიან როგორც თვითონ იტყვიან, თავიანთ უფროს ძმებისაგან—ქრისტიან ქართველებისაგან. ამ ომის დროს დიდძალ აფიცრობამ შეისწავლა ქართული წერა-კითხვა.

ზოგიერთ გურჯებში დარჩენილი არის ერთი საუცხოო ქართული წერა, რომელსაც თვითონ თავიანთებურათ ეძახიან დედაბრულ წერას.

ეროვნული შეგნება ქართველ მუსულმანებში საერთოთ არ არის განვითარებული, რადგან სჯულის ფანატიზმს მარადის დაუქვეითებია იგი. თუმც სისტემატიურათ თურქიზმი სპობს მას, მაგრამ, პრაქტიკულათ კი, ეროვნული გრძნობა დღესაც ძალზე ცოცხალია მათში. როგორც ზემოთ ვსთქვით, საერთოთ ყველანი ამაკობენ, რომ გურჯები—ქართველები, არიან და თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადმე ან თაეიანოში ქრისტიან ქართველს შეხვდნენ, საზოგადოდ გარეგნულად მაინც პატივს სცემენ და შეგნებულნი კი ყოველნაირ დახმარებასაც აღმოუჩენენ, თუ შესაძლებელია.

აქ უადგილო არ იქნება გავაცნოთ პატივცემულ მკითხველებს ქართველ მუსულმანთა სოფტები (სემენარისტები), რომელნიც სტამბოლში ყოველთვის არიან.

უმრავლესობა ამ სტუდენტობისა სწავლობს ფათიხის მეჩეთში. ფათიხი (ძლევა-მოსილი) არის სახელწოდება მუჰამედ II-სა, რომელმაც დასცა ბიზანტია და საბოლოოდ დაამყარა ისლამიზმი ევროპაში. ამის სახსოვრად, ესევე სახელი აქვს სტამბოლის ერთ უდიდეს მეჩეთს, რომელსაც აქვს დიდი ეზო, სადაც მოთავსებულია საღვთის-მეტყველო სასწავლებელი და აბანო. ეს უდიდესი შენობა აგონებს ყველა მუსულმანს დიდ მსოფლიო მოვლენას, სტამბოლის დაპყრობას ოსმალთაგან.

მეჩეთში არის ფათიხის ე. ი. მუჰამედ მე-II საფლავი. აქვე, როგორც ზემოთ ვსთქვით, მოთავსებულია საღვთისმეტყველო სასწავლებელი, რომელიც აშენებულია ქარვასლის გეგმაზე. აქ, ომის დროს ასზედ მეტი მოსწავლე იყო; დღეს კი ორმოცამდე ახალგაზდაა დარჩენილი.

აქ ყველა მოსული ქართველი პატივისცემითაა მიღებული. უსათუოთ დაგატარებენ მეჩეთს და შემდეგ ჩაიზედ დაგპატიჟებენ იქვე ყავახანაში. მათ დახვედრას მარადის ქართველური სტუმართ-მოყვარეობის ხასიათი აქვს.

ამ სტუდენტებში ძველად არავითარი მოძრაობა არ ყოფილა. ზოგიერთნი 1902—1906 წლებში დაუახლოვდნენ ცნობილ პატრი ანდრია წინამძღვარიშვილს, რომელმაც ფრთხილად დაუწყო მათ ლაპარაკი ეროვნულ საკითხების შესახებ.

ოსმალეთში კონსტიტუცია რომ დამყარდა ასე თუ ისე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათაც ცოტაოდენი თავისუფლება მიეცათ. 1910 წლის დამლევიდან 1914 წლამდის უკვე მათში თამამად შეიძლებოდა არა მარტო სჯა-ბაასი ეროვნულ საკითხებზე, არამედ თვით კრიტიკაც, მათი ვინც ასე თუ ისე უნაღვლელობას იჩენდნენ. დაიწყეს სიარული პ. შალვა ვარდიძესთან, რომელმაც ფართე ხასიათი მისცა მათ საკითხს. ასწავლიდა ქართულ ენას და საქართველოს ისტორიას; ურიგებდა წიგნებს მათ, რომელთაც იცოდნენ ქართული კითხვა.

მალე საჭირო შეიქნა ქართული კლუბის დაარსება. ამისთვის 1911 წელს გაზეთების საშუალებით მოწვეულ იქ:ნენ შალვა ვარდიძის ბინაზე, პაპას-კვეპრის სასწავლებელში, ყველა ქართველები, განურჩევლად რწმენისა და ხარისხისა. გაიმართა კრებები, რომლებზედაც 150 ქართველი ყოველთვის ესწრებოდა. ამათ რიცხვში ფაშები, ღენერლები, ოფიცრები, ვექილები, ექიმები, რამდენიმე ვაჭარი, მოხელეები და სტუდენტები იყვნენ. ქართული სიტყვებით და სიმღერებით იხსნებოდა ყოველივე კრება და იმ სახითვე მთავრდებოდა. შეიმუშავეს წესდება, რომელიც ოსმალეთის მთავრობამ უცვლელათ დაამტკიცა.

მუსულმან ქართველებში ქართული ცხოვრება დატრიალდა. შიგნით ანატოლიიდან და მაკედონიიდან მოდიოდა ქართველებისგან მოლოცვის წერილები, სადაც იხატებოდა მათი აღტაცება. სხვათა შორის ერთი იწერებოდა:

„გაზეთის წაკითხვით თითქმის გადავირიე; ჩემ თვალებს არ სჯეროდა ამის სინამდვილე, მაგრამ მეორე კრების მოხსენებაც რა წავიკითხე, დავრწმუნდი, რომ ქართველ მუსულმანებს ცით ნათელი მოგვეევლინა, ვინაიდგან დღეის შემდეგ ვიტყვით, რომ ჩვენც ვყოფილვართ ხალხი, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელსიც თავის ეროვნულ პიროვნებას აღიარებს და ეროვნული კულტურით საზრდოებს. ბატონო შალვა, კლუბის წესდება გამომიგზავნე თათრულ ენაზე და მასთან რამოდენიმე ქართული წიგნი, რათა ვისწავლო ჩემი მშობლიური ენა და ჩემი ხალხის წარსული ისტორია. სალამი".

ამ კლუბმა დიდხანს ვერ იარსება. სხვა და სხვა პოლიტიკური მიზეზები ხელს არ უწყობდნენ. ამასთან რამდენიმე უხეირო ქართველებიც გამოჩდნენ, რომელთაც ინტრიგები დაიწყეს შენ-ჩემობისათვის. უსახსრობამაც დიდი დაბრკოლება მისცა. კლუბმა თუმცა ვერ იარსება ფორმალურად, მაგრამ ვიდრემდის იყო, ისეთი ზედგავლენა იქონია ყველა მუსულმან ქართველებზე, რომ შემდეგ ერთი და იგივე კეთდებოდა არა ფორმალურათ.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, ამ საშინელ ომიანობამ, ამ მხრივაც, დიდი ზარალი მისცა ქართველობას. დღეს თითქო მინელდა ეროვნული მოძრაობა ოსმალეთში მცხოვრებ ქართველ მუსულმანებში.

ერთ მშვენიერ ნასადილევს, თავის შესაქცევად, პერის*) ერთ-ერთ დალმართს დავყევი. ზღვის ნაპირას დავიქირავე პატარა, სუბუქი და ისარივით გრძელი ნავი, რომელიც მენავე ლაზმა სასწრაფოთ გაასრიალა აკორტნილ ზღვაზედ.

ქალაქის მოძრაობით გაბრუებული, გამოვცოცხლდი წყნარი სიოთი და აღტაცებული გავსცქეროდი სტამბოლის საარაკო სიმშვენიერეს.

მალე მოღამდა. ჩამავალი მზე უკანასკნელათ სტყორცნიდა თავის ნაზად ალერსიან სხივებს. მალე ჩაიკრიფა, ჩაიმალა სტამბოლის მინარეების და შემუსვრილ ციხე-ზღუდეების უკან. რაღაც საიდუმლოებამ მოიცვა მთელი ბუნება. ამავე დროს,

*) პერა კონსტანტინეპოლის ახალ ნაწილის საუკეთესო უბნის სახელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოსფორის აღმოსავლეთით ამწვანებულ გორაკებზედ გადმოდგა მკრთალი ზაფხულის მთვარე, რომელიც გაფითრებული მწუხარეთ გადმოიცქირებოდა. მიდამო და მთელი ბუნება სევდის ტალღებში გაეხვია. გარშემო ზღვის ქვითინი, სტამბოლის ჩრდილოეთანი მოხაზულობა, სოკით დაგვირგვინებული ჩამლიჯის მთა, მომხიბველელი ბოსფორი, თითქმის ყველანი აჩრდილის ზეწრით მოსილნი, უფრო სევდიანს მხდიდნენ.

სწორეთ ამ დროს დაქანცულმა ჩემმა მენავემ გალათისკენ მოაბრუნა ნავი და მომაძახა: ეფენდი (ბატონო) გურჯი-კაპუში გაგიყვან. გურჯი-კაპუ ანუ ქართული კარი პირველი გაგონება იყო და ძალზე გამიკვირდა. მენავე ლაზს რასაკვირველია დავეთანხმე, რათა გავსცნობოდი გალათის ამ დაულაგებელ პატარა უბანს, რომლის ახალი სახელ-წოდება მოგვაგონებს უსათუოთ მის ძველ მცხოვრებლებს, ქართველებს.

შეკრებილ ზეპირ გადმოცემითი ცნობებით დავრწმუნდი, რომ ძველათ ამ უბანში ცხოვრობდნენ ქართველები. მხოლოდ დღეს კი კავკასიის ტომებიდან ლაზების და აფხაზების მეტი არავინ არის. აქ მაინც შეხვდებით ქართული ენის მცოდნეს.

თურქები ლაზებს და აფხაზებს ქართველებისგან ყოველთვის არჩევენ. ამისთვის ეს სახელ-წოდება, გურჯი-კაპუ, უძველესი უნდა იყოს, ვინაიდან თუ მართლა ძველათ აქ ქართველების რაიმე დაწესებულება არ იყო, ანუ ქართველების ერთი ჯგუფი აქ არ ცხოვრობდა, უსათუოთ ამ ადგილს გურჯი-კაპუს კი არა, ლაზ-კაპუს, ანუ აფხაზ-კაპუს დაარქმევდნენ თურქები ანდა თვით ლაზები და აფხაზები. დღეს მოხუცი ლაზები ერთხმათ ამტკიცებენ, რომ აქ ძველათ ქართველები ცხოვრობდნენ. მხოლოდ სამწუხაროა, რომ არხეოლოგიაც ამის შესახებ ჯერ-ჯერობით არავითარ მასალას არ იძლევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მეორე.

I. ქართველების ახალშენი კონსტანტინეპოლში.

ქართველების ახალშენი კონსტანტინეპოლში ძველთაგან ძველია. ამის დამამტკიცებელი საბუთი გურჯი-კაპუ არის, ვინაიდგან ეს თურქული სახელწოდება იმისთვის დაარქვეს გალათის ამ უბანს, რომ აქ ახლათ გაბატონებულ ოსმალოებს საკმარისათ რიცხოვანი ქართველების ახალშენი დახვდათ.

ჩვენის აზრით, 1453 წლის 29 მაისს, მოჰამედ მე-II მიერ კონსტანტინეპოლის დაპყრობის შემდეგ, აღარ მომატებია სხვა ახალი მცხოვრები ჩვენს ახალშენს, რომელიც თანდათანობით შემცირდა.

გამონაკლისს კი ვხედავთ, მხოლოდ იშვიათათ; მაგალითად სხვათა შორის გიორგი საკაძე თავის მხლებლებითურთ აქ ჩამოვიდა და შემდეგ როცა დიდებული მესხეთი ოსმალეთის ფაშალიკად, ე. ი. მაზრად გადაიქცა, მაშინ რამოდენიმე ახალციხელი მოსულა. ამის დამამტკიცებელი საბუთი არის ქართული სასაფლაოს ქვების წარწერები, რომლებზედაც შემდეგ ცოტაოდენი საუბარი გვექნება.

ჩვენ ჯერ-ჯეროობით მეტი ისტორიული საბუთი არა გვაქვს კონსტანტინეპოლის ახალშენზე. ამ ომის დასაწყისში ახალციხელი ქართველების ათიოდე ოჯახი კიდევ იყო დარჩენილი. აქ არ ვგულისხმობთ მუსულმან ქართველების ოჯახებს, რომლებიც, თუმცა რიცხვით ქრისტიან ქართველ ოჯახებზე გაცილებით მეტნი არიან, როგორც ოსმალეთის მთავრობის ქვეშევრდომნი, ქართველ ახალშენად არ ითვლებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტამბოლის დაპყრობის შემდეგ, როგორც აქაური ევროპიელები, ქართველებიც უფრო შეკავშირდნენ და ერთათ შეჯგუფდნენ. მე-XVII საუკუნის წინათ, ძველ ქართველ ახალშენიდან ვინც კი დარჩენილიყვნენ, ერთათ დაბინავდნენ, ჩვენის აზრით, გალათაში, ესე იგი, სადაც დღეს გურჯი-კაპუ არის, როგორც ამ წიგნის პირველ თავის დასასრულში აღვნიშნეთ. ხოლო, ხსენებულ საუკუნის შემდეგ კი, სხვა და სხვა პოლიტიკური და ვაჭრული მიზეზების გამო, განსაკუთრებით ახლად ჩამოსული ახალციხელები, შეჯგუფებულან ძველი სტამბოლის იმ ნაწილში, რომელსაც დღეს ვეზირ-ხანს უწოდებენ და რომელზედაც შემდეგ გვექნება საუბარი.

ძველადგანვე აქაური მკვიდრი ქართველები წვრილ ვაჭრობას მისდევდნენ, რათა თავიანთი ოჯახები დაერჩინათ. საზოგადოთ დანეულობას და სხვა და სხვა სახელოსნო რკინის და ფოლადის იარაღებს ჰყიდდნენ. ნახევარ საუკუნეზე მეტია, სავაჭრო საქონელი, რომელიც ბაზარზე გამოჰქონდათ, ნაწილს თითონვე აკეთებდნენ და ნაწილსაც ანატოლიიდან იწერდნენ. შემდეგ, ევროპის და განსაკუთრებით გერმანიის ქარხნებმა, უფრო ხელ-საყრელ ფასებში დაუთმეს მათ საქონელი და ამ ომის დაწყებამდე, სულ იქიდან იწერდნენ რაც კი მათ ესაჭიროებოდათ. დღეს, ამ დიდი ომის გამო, ქართველების მრეწველობა, როგორც სხვების, შემცირებულ-შესუსტებულია. მხოლოდ საზოგადოთ კი ყველანი კარგათ ცხოვრობენ.

ამათ გარდა კონსტანტინეპოლში არიან კიდევ ამ ორი წლის განძავლობაში ახლათ ჩამოსულები, რომლებიც ვაჭრობენ. კიდევ ბლომათ არიან ქართველები, რომლებიც თავიანთ კერძო სავაჭრო საქმეებისათვის დრო გამოშვებით, მაგრამ ხშირათ ჩამოდიან. საქართველოს დღევანდელ პირობების გამო, ამათი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიცხვი გაათკეცებულია. ორივე ჯგუფზე ამ წიგნის მესამე თავის დასასრულს ვილაპარაკებთ.

ძველათ, ვიდრე ფერი-კვეის კათოლიკე ქართველთა სავანე დაარსდებოდა, და შეუვლიდა კონსტანტინეპოლის ქართველთა უპატრონო ახალშენს, სამწუხაროთ ბევრმა ქართველმა და მათმა ოჯახმა, დაივიწყეს თავიანთი მშობლიური ენა და უარჰყვეს თვით ქართველობაც.

ქართველი ერის ისტორიაში ეს ხშირი და დასაგმობი მოვლენაა.

ჩვენ კიდევ გვესმის, როდესაც რომელიმე ქართველი მუსულმანი ივიწყებს თავის ენას და ეროვნებას, რადგან მისი რჯული თურქულ-პოლიტიკურია და ასე თუ ისე, გარეშე პირობებიც იძულებულ ჰყოფს მას გადაგვარდეს. მაგრამ ჩვენ ჯერ ვერ გამოგვირკვევია, რამ აიძულა კონსტანტინეპოლის ზოგიერთი ქრისტიანი ქართველები, რომელთაც უარჰყვეს თავიანთი ქართველობა, რომელთ შორის უმრავლესობამ სომხებათ აღიარეს თავიანთი თავი და თვით თავიანთი გვაროვნობის სახელწოდებაც დაივიწყეს. ამ გადაგვარებულთა შორის შედარებით ცოტანი არიან, რომელთაც თავიანთი გვარი მაინც კიდევ ახსოვთ; სხვათა შორის დავასახელებ —ლიფონტის (ცხადაიას), გურჯიანების (ქართველიშვილების), აზიზიანების, თუმანიანების, ზურაბიანების ოჯახებს, რომლებიც, თუმცა უარს არ ჰყოფენ, რომ ქართველების შთამომავალნი არიან, მაგრამ მაინც დღეს თავიანთ თავს ქართველებათ აღარ აღიარებენ.

სასურველია, ქართველმა საზოგადოებამ პრაქტიკული ყურადღება მიაპყროს, არა მარტო ოსმალეთის და კონსტანტინეპოლის ქართველ მუსულმანებს, არამედ თვით ქარველ ქრისტიანებსაც, რომელთაც არავითარი კულტურული დაწესებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლება არა აქვთ, სადაც თავისუფლათ შეეძლოს ყველა რწმენის და მისწრაფების ქართველს მისვლა და პრაქლიკულათ მუშაობა, როგორც ეს აქვთ სხვა ხალხთა ახალშენებს.

II. ვეზირ-ხანი.

როგორც სულ შემთხვევით გავიცანი გურჯი-კაპუ, ასეთივე შემთხვევით გავიგე, რომ ვეზირ-ხანი ერთ დროს ქართველების ბინა ყოფილა.

ერთ მშვენიერ დღეს, ჩემდა უნებლიეთ, გავისეირნე ძველ სტამბოლში. კარა-კვეი, ესე იგი შავი ხიდი, გავიარე: იენი ჯამის (ახალი მეჩეთის) მარჯვნივ, სადაც თითქმის ასი წელიწადია რაც ქართველებს თავიანთი პატარ-პატარა სავაჭრო დუქნები ჰქონდათ, დღეს ერთის მეტი აღარ არის.

ფეხზე მოვაჭრეთა მოძრაობა-ხმაურობამ რა ძალზე შემაწუხეს, აუჩქარე და ერთ-ერთ ვიწრო ბაზარით შიგ შუაგულ სტამბოლში აველი.

მარცხნივ, დიდებულათ აღმართული აიასოფია წარმოგიდგენს ბიზანტიის დიდება—კულტურასთან ერთად, მის შავ დღეებს და აოხრებას. პირდაპირ მარჯვნივ ამაყი ფათიხია, რომელიც საშვილი-შვილოთ გვაგონებს ერთ მხრივ ერთი ერის დაკნინება-დასუსტებას და ბოლოს დაცემა-დამონავებას და მეორე მხრივ, სიხარულს და სიამაყეს ჰგვრის ოსმალოს ხალხს, რადგან იგი დამახასიათებელია მისი წარსული დიდების და სიძლიერისა.

ფათიხში აველი და მწუხარე თვალით გადავხედე ძველ სტამბოლს, ბიზანტიის დიდებულ დედა ქალაქს. შორს, შორს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სდგანან ბიზანტიის შემუსვრილნი ზღუდეები და ციხე კოშკები, სადაც უკანასკნელ იმპერატორმა კონსტანტინე მე-XIII თავი შესწირა თავის სამშობლოს და კულტურას. მომხიბვლელი სტამბოლი, ძველი დიდების და კულტურის ნაშთების გამორიცხვით, დღეს ოსმალური ქალაქია.

უნებლიეთ საკითხი ისმება: სადღაა ის კოსმოპოლიტური შეხედულება, რომელიც ჰქონდა ძველათ ამ ქალაქს? ევროპის და აზიის კარი, განათლების კერა, ვაჭრობა-მრეწველობის გზა— ბუდე, სტამბოლი, სადაც ძველათგან ყველა ხალხი აქ იყრიდა თავს, სადაც ყველას ინტერესები ერთი-მეორეს აქ ეხლებოდა, როგორ გარდიქმნა, რომ ცხადათ აღარ მოსჩანან ჯვაროსანთა, ლათინთა იმპერატორების და სხვა და სხვა ხალხთა აუარებელი ნაშთები გარდა თითო-ოროლისა, ისიც საეჭვო და მცირედი ღირებულებისა?

კეისარ-იმპერატორთა დევნამ და ამის შემდეგ მრავალ გზის სხვა და სხვა ველურ ხალხთა შესევა-აოხრებამ, ვერ წაშალა რომში პირველ საუკუნოებიდანვე დაწყებული ქრისტიანთა კულტურული და ხელოვნური ნაშთები. სტამბოლში კი ყველაფერი რაც თვითოეულ ევროპის ხალხს და თვით პატარა საქართველოსაც აინტერესებს გამოსარკვეია.

ვიცით, მხოლოდ დანამდვილებით კი არა, გენოველებს, ვენეციელებს, პიზანელებს, ამალფიტელებს და კატალანებს რომელ ადგილს ჰქონდათ თავიანთი ბინადრობის უბანი. საერთოთ ყველანი ამბობენ, რომ ოქროს რქაზე იყოო *). ანგლების, ვარანგების, გერმანელების, დანელების და სხვათა სკანდინავების ხსოვნა დაკავშირებულია წმინდა რომანის, ანუ

*) ოქროს რქა ჰქვიან ზღვის ტოტს, რომელიც ღრმათ შედის ძველ სტამბოლის და ახალის შუა და რომელიც კონსტანტინეპოლს ორ ნაწილათ ჰყოფს.

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოპ-კაპუს უბანთან. ამავე ადგილს ჰქონდა ბინა ერთ ნაწილს იმ ჯარისას, რომელიც შესდგებოდა ზემოთ ხსენებულ სხვა და სხვა ეროვნებებისაგან და ითვლებოდა იმპერატორების სახელმწიფო გვარდიათ. ფრანგ მეთაურებისგან მოყვანილი ჯვაროსნები, რომელთაც შემთხვევით დაიპყრეს კონსტანტინეპოლი და მასზე იუფლეს ნახევარი საუკუნის განმავლობაში, ბანაკდებოდნენ გალატაში, სადაც შემდეგ გენოველები ჩადგნენ. მე-XI საუკუნეში, ჰასტინგის ომის შემდეგ, ერთმა თავადმა ინგლისელმა, კონსტანტინეპოლის მეხუთე მთაზე აღაშენა წმინდა ნიკოლოზის ეკლესია, და ბიზანტიის ბოლო ხანებში, ათ-მეიდანისკენ, ერთ მეჩეთმაც თავისი მინარეები ზეცისკენ შესტყორცნა, თითქოს ზეცას, კულტურას, თავისუფლებას ეომებაო. სხვათა შორის ქართველებსაც ჰქონიათ ძველათგანვე არა მარტო თავიანთი საკუთარი სავანე, რომელზედაც შემდეგ ვილაპარაკებთ, არამედ თავიანთი ბინა—ადგილიც, გურჯი-კაპუ, და ოსმალთა გაბატონების მე-XVII საუკუნის შემდეგ, ვეზირ-ხანი.

ეს ხანი, ანუ საბინაო (კარავან-სერაი) მდებარეობს იმ ქუჩაზე, რომლის დასავლეთ კუთხეში აღმართულია კონსტანტინე დიდის ძეგლი, დღეს დამწვარ სვეტათ წოდებული, მახლობლათ ნური-ოსმანიეს დიდ ბაზართან და პირდაპირ ელჩების ხანისა, რომელიც დღეს აღარ არის. ამ ორსართულიან და ოთხ-კუთხ უზარმაზარ შენობას შუაში დიდი ეზო აქვს. საერთო შეხედულობით მიაგავს ანატოლიის და სპარსეთის საბინაოებს. ოთახები თითქმის ყველანი ოთხ-კუთხათ არიან აშენებულნი და ზემოდან თვითეულს ტყვიით გადაკრული გუმბათი ადგია. შესავალში ალაყაფის დიდვრონი რკინის კარები აქვს და შესვლისას, მარჯვნივ კედელში, გამოჭრილი ბუხარია.

ამ ორმოცი წლის წინათ, ცხრამეტი საკუთარი ოთახი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰქონდათ ახალციხელ ქართველებს, რომელნიც დრო გამოშვებით სხვა და სხვა კერძო სახლებში დაბინავდნენ. ერთხანს ეს ოთახები გააქირავეს და რადგან კარგი გამგე—მეთაური არ ჰყავდათ, ბევრი ამ ოთახთაგანი უყურადღებობის გამო დაინგრა. ვინაიდგან საერთო იყო, და შემოსავალი გაფლანგული, არამც თუ ველარ შეაკეთეს, არამედ თავის დროზედ მემკვიდრეობის ქაღალდიც ვერ შესცვალეს. ვის სახელზედაც იყო ის გარდაიცვალა; ამის მემკვიდრეთაგან სამში ორიც გარდაიცვალა, რის გამო ორი-მესამედი ოთახებისა სახელმწიფო ფონდში ჩაირიცხა. შემდეგ ყველა საბუთები ფერი-კვეის კათოლიკე ქართველთა სავანეს გადასცეს, მაგრამ დაგვიანებული საქმე სავანის გამგეობამ ველარ გამოაკეთა. დარჩენილი შვიდი საღი ოთახის ერთი მესამედიც უცხო პირის ხელში იყო. დავა საჭირო იყო მისი დათხოვისათვის. ამის გარდა ომის დროს, ოსმალეთის მთავრობამ, მთელი ძველი ხარკი ერთათ მოითხოვა. ისედაც ოთახების შემოსავალი მცირე იყო, რადგან ამ უბანში, და განსაკუთრებით ვეზირ-ხანში, შეგნებული და ცოტათი შემძლე არივინ ცხოვრობს. ამის გამო ძველ ვალს ახალი ემატებოდა და ყოველწლიური ზარალი აუტანელი იქნებოდა. ისედაც ვეზირ-ხანის ოთახების შენახვას აღარავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ყველა ამ მიზეზების გამო, სახელმწიფო ფონდის გამგესთან შეთახმებით, საერთოთ გაიყიდა დანარჩენი საღი შვიდი ოთახი, რომლების ღირებულობის მესამედმა ნაწილმა ძლივს დაფარა ძველი სახელმწიფო დარჩენილი გადასახადები და ის თანხა, რომელიც დაიხარჯა დარჩენილ ოთახების მესამე კერძის საკუთრებათ დამტკიცებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III. ქართველების სასაფლაო და ქართული წარწერები.

კონსტანტინეპოლის ქართველთა ახალშენის მომეტებული ნაწილი ყოველთვის მეხეებისაგან იყო შემდგარი. ყველანი კათოლიკურ სარწმუნოებას მისდევდნენ და ცხოვრობდნენ სტამბოლშივე, ესე იგი, ქალაქის ძველ ნაწილში, ან და გამოღმა, გალათის მიდამოებში.

ძველ დროიდან ამ უკანასკნელ ნაწილში არსებული წმინდა პეტრეს ეკლესია მათ ეკლესიად ირიცხებოდა და იტალიელი მღვდლები უკლიდნენ მათ, ვიდრე დაარსდა კათოლიკე ქართველთა სავანე, ფერი-კვეის უბანში.

ამ ზემოხსენებულ ეკლესიას თავისი სასაფლაო ჰქონდა, სადაც, რასაკვირველია, ქართველებიც იკრძალებოდნენ. სულ პირველი კათოლიკეთა სასაფლაო ჯერ-ჯერობით არ ვიცით სად არის. კიდეც რომ აღმოჩნდეს, იქ ვერავითარ ნაშთს ველარ ვიპოვნით, რადგან ზედ ქალაქია გაშენებული.

შემდეგ ხანებში, როდესაც გამოღმა ნაწილი ძალიან მოშენდა ქრისტიანებით, სულთანმა ტაქსიმზე ეკლესიებს დიდი ადგილი უთავაზა სასაფლაოდ. დღეს ეს სასაფლაოც თითქმის ერთიან მოსპობილია, რადგან შუა ქალაქში მოემწყვდა და ქრისტიანებს უფრო შორს აქვთ გადატანილი თავიანთი ახალი სასაფლაოები.

ტაქსიმის ყოფილ სასაფლაოზე ქართველებსაც თავიანთი განსაზღვრული ადგილი ჰქონდათ. ამ ადგილის ერთი ნაწილი დღეს ბაღად და ყავახანად არის გადაქცეული.

როგორც სჩანს, აქაური ქართველები თავიანთ საფლავის ქვებზე თითქმის ყოველთვის ქართულათ აწერდნენ.

კონსტანტინეპოლის ქართველთა ახალშენის ამ სახის ის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორიული ნაშთები ბლომათ იყო; მაგრამ, სამწუხაროთ ერთი ნაწილი ამ ქვებისა, სომხებმა გაალაგეს და მოიხმარეს თავიანთ საავათმყოფოს შენობისათვის, რომელიც ამ ადგილის პირდაპირ მდებარეობს. რამდენიმეს გარდა, რომლებიც დღესაც უპატრონოთ არიან დატოვებულნი ხსენებულ ყავახანის აღმოსავლეთით, დანარჩენი ქვები იმავე საავათმყოფოს ეკლესიას მოახმარეს.

კათოლიკე ქართველების სავანის არხივში არის ერთი ხელ-ნაწერი, რომელიც შეიცავს ამ სასაფლაოს ზოგიერთ წარწერების სიას. მ. პეტრე ტატალაშვილმა სავანის სიგელები მიჩვენა, მაგრამ ამ სიის გარდა, რომელიც 1866 წელს არის დედნებიდან გადმოწერილი, სხვა ველარაფერი ვნახე. შალვა ვარდიძეს აზრით ეს დოკუმენტი, ივანე გვარამაძეს მიერ უნდა იყოს დაწერილი, როდესაც იგი ამ სავანეში მოწაფედ იყო.

ყველაზედ უძველესი წარწერა ამ სიისა შემდეგია: „საფლავსა ამას შინა მწოლარე არს ახალციხელი ივანეშვილი პავლე. ქორონიკონი ჩღბ (1702)“.

ავტორი ამ სიისა შენიშნავს, რომ უმრავლესობა მიცვალებულთა ყოფილან ახალციხელები, მხოლოდ რამოდენიმე აწყურიდან და ივლიდან მოსულან. სიის შედგენის დროსვე უკვე თითქმის ერთიან მოსპობილი ყოფილა ქართულათ წარწერილი საფლავის ქვები. ჩვენის აზრით, ესენი რომ ხელუხლებელი დარჩენილიყვნენ, გვიჩვენებდნენ უფრო ძველი დროის სხვა და სხვა ადგილებიდან მოსულ ქართველების არსებობას სტამბოლში.

აი რას ამბობს ი. გვარამაძე, რომელსაც მხოლოდ 39 წარწერა ამოეწერა: „ამ საფლავის ქვების გარდა, კიდევ არის ორასზედ მეტი გადაზიდული კათოლიკე სომეხთა წმინდა იაკობის ეკლესიაში. თითქმის ყველა ქვები ეკლესიის შენობაში იხმარეს და დანარჩენი იმავე ეკლესიაში იატაკად დააგეს. ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვებზე ყველა წარწერები მეტი სიარულით თითქმის ერთიან წაშლილია; მხოლოდ იმდენათ ეტყობა, რომ გაირჩევა ქართული ნაწერი.“ არხ. ქართ. კათ. მამათა სავანისა—ფერი-კვეი. წიგნი D. გ. 250 (შემდეგი).

IV. ქართველების უძველესი სავანე.

ამ სავანეზე წიგნი „ჟამნი“(Breviarium) რამდენიმე ცნობას იძლევა, სხვათა შორის აქ მოგვყავს შემდეგი არსებითი ადგილი: „წმინდა ილარიონი, კახეთის წარჩინებული აზნაურის გვარისა იყო, ⰔⰓ ⰥⰜⰐⰐⰐ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბლო ქვეყანას, ორი სხვა ქართველი თან წაიყოლია და წავიდა საცხოვრებლათ საბერძნეთში, ოლიმპიის მთაზე, სადაც სხვა სამი იქ მყოფი ქართველი შეუერთდნენ მას. ერთათ იცხოვრეს ხუთი წელიწადი, რომლის შემდეგ წმინდა ილარიონი კონსტანტინეპოლში და თესალონიკში წავიდა. ამ უკანასკნელ ქალაქში კიდეივ იცხოვრა სამი წელიწადი, რომლის შემდეგ, ძალიან ხანში შესული, მიიცვალა 19 გიორგობისთვეს 882 წ. იმპერატორ ვასილ მაკედონელის (866—886) დროს. ამ მეფემ წმინდანის ნაშთი თესალონიკიდან მოატანინა და ოლიმპიის მთიდან მოაყვანინა ორი მისი მოწაფეთაგანი, რომლებიც კიდევ ცოცხალნი იყვნენ. შემდეგ, ქ. კონსტანტინეპოლის ახლოს რომანის ხევის იმ ადგილს, რომელსაც ერქვა სოსთენი, ააშენებინა ერთი სავანე და ერთი ეკლესია. 9 გიორგობისთვეს ორივე აკურთხეს „წმინდათა მოციქულთა“ სახელწოდებით, სადაც დიდის კდემა-დიდებით წმინდანის გვამი იმპერატორის შვილებმა, ლეონმა და ალექსანდრემ გადმოასვენეს.

თამარაშვილის აზრით კონსტანტინეპოლში ორი ქართული სავანე უნდა ყოფილიყო: ერთი სოსტენისა კონსტანტინეპოლის გარე მიდამოებში, და მეორე ანასტაზიასი თვით შიგ ქალაქში.

1899 წლის მომხდარ მოგზაურობის მოხსენებაში, შედგენილია სია ოცდა ცამეტ ქართულ სავანებისა, რომლებიც ძველათ საქართველოს გარეთ ყოფილან. სიაში უკანასკნელათ მოხსენებულია კონსტანტინეპოლის სავანე, სადაც მწერალი ამბობს: „არიან დაკრძალულნი ნაშთნი მამისა ჩვენისა წმინდა ილარიონისა, სასწაულთ მომქმედისა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათონის მთის ბერების განცხადებით კი ქართული ძველი სავანის ნაადგილევი არის ფიალი ფაშის მეჩეთი. ეს მეჩეთი არის ბეუკ-ფიალიაში, კალიმ-ფაშის უბანში, რომელიც მდებარეობს პერის დასავლეთ ნაწილში და ოქროს რქის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით. მაინც და მაინც ეს ცნობა სულ უბრალო და მარტივი წარმოდგენაა, ვინაიდგან არავითარი დამამტკიცებელი საბუთი არ მოსჩანს.

ამის გარდა, ასეთივე მარტივი წარმოდგენით იყო, რომ რუსეთის არხეოლოგები რუსების უბანს „წმინდა მამას“ ანუ ამავე სახელწოდების მათ სავანეს ამ უბანში ათავსებდნენ. მაგრამ ეს წმინდა მამას უბანი, რომელიც სულთანის განკარგულებით მრავალ გზის განახლებული და მიცემული იყო რუსების სადგომად, როგორც ზემოთ ვსთქვით, ბოსფორზე იმყოფებოდა. ეს ამტკიცებს, რომ ათონის მთის ბერებს ვერ გაურჩევიათ ეს ორი სავანე.

ვინახულე ფიალი ფაშის მეჩეთი, რომელიც მდებარეობს ხევის ფერდობის ერთ განმარტოებულ და ბერ-მონაზონებრივ ცხოვრებისათვის შესაფერ ადგილას, სადაც ჭანდრების და საროს ხეებისგან შექმნილ საარაკო კონაში ჩახლართულია თათრული ხუროთ-მოძღვრული გუმბათები, რომელთ შორისაც ზეცისკენ ამაყად შეტყორცნილია შვილდოსნური მინარეები.

ამ მეჩეთის დამფუძნებელი და სახელის მიმცემი იყო გამოჩენილი თურქი, დიდი ადმირალი, ფიალი ფაშა, რომელიც 1954 წელს საზღვაო მინისტრადაც იყო დაყენებული და 14 წლის განმავლობაში დიდებულათ ასრულებდა თავის მოვალეობას.

ამის განმანადგურებელი გალაშქრებანი და გამარჯვებანი არხიპელაგის კუნძულებში და განსაკუთრებით კლდოვან სი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაში, სადაც იმ დროს ბევრმა ვენეციელმა სიცოცხლე დაჰკარგა, საარაკოთ არიან დარჩენილნი. ფიალი ფაშა 1575 წლის 21 მკათათვეს მოკვდა; მხოლოდ მისი ეს სამახსოვრო კოხტა მეჩეთი 1573 წელს უკვე დამთავრებული იყო. ამ მეჩეთის გაშენებისათვის ფიალი ფაშამ დიდძალი ფული დახარჯა და ეს ფული მის გამარჯვებათა ნადავლი იყო. მეჩეთს ადგია დიდი გუმბათი და ამის გარშემო შემოგვირგვინებულნი არიან სხვა წვრილ-წვრილი გუმბათები; შენობას ამშვენებს წინიდგან წყვილი ტალანი და ერთი ეზო. მეჩეთის ორივე კუთხეში მიდგმულია ორი პატარა სახლი, სადაც ცხოვრობენ დერვიშები ამ სამლოცველოს მოსავლელად. თვით შენობის უკანა მხარეს აღმოსავლეთურ გემოვნებით მოჩთულ-მოკაზმულია სასაფლაო, სადაც მარხია დიდი ადმირალი და მის გარშემო სხვა და სხვა მინისტრები, ფაშები და თვით დერვიშები.

ამ მეჩეთის დათვალიერების დროს, ვერც ერთი საბუთი ვერ აღმოვაჩინეთ, რომ ცოტად თუ ბევრად ეჭვი მაინც შეგვეტანა ამის ნაშენობის ხანაზე; უსათუოდ ეს შენობა ზემოდ ხსენებულ დროს არის აგებული. კონსტანტინეპოლის ერთი გეგმა, რომელიც შედგენილია 1566 და 1574 წლებში, მართალია, გვიჩვენებს ამავე მიდამოებში წმინდა „ვენერანდას“ სახელწოდებით ერთ უძველეს ეკლესიას და ბერძენი არხეოლოგები ამტკიცებენ, რომ ძველად აქვე იყო ეკლესია „პარასკევა“, რომელიც შემდეგ ხანებში გადიტანეს ჰასკვეიში *), მაგრამ ეს ორივე ისტორიული წყარო მაინც არაფერს ამტკიცებს. ჩვენის აზრით, „წმინდა ვენერანდა“ და „წმინდა პარასკევა“ ერთი და იგივე ეკლესიაა, რადგანაც „ვენერანდა“ მხოლოდ თარ-

*) ჰასკვეი ოქროს რქაზე მდებარე და ფიალი ფაშის უბნიდგან რაოდენიმე წუთის სავალი გზით დაშორებული სოფელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გმანია ბერძნული სიტყვა პარასკევის და ბერძნების წმინდა „პარასკევა“ ლათინებში ყოველთვის წმინდა „ვენერანდად“ არის მოხსენებული. ამ ჩვენ აზრს სავსებით ეთანხმება ცნობილი ბ. ვავასორის მიერ 1520 წელს შედგენილი კონსტანტინეპოლის გეგმის გამომცემელიც.

სხვა მწერალნიც ამბობენ, რომ თურქების მიერ კონსტანტინეპოლის დაპყრობის შემდეგ, წმინდა „ვენერანდას“ ანუ წმინდა „პარასკევას“ ეკლესიის ხატები და სასულიერო ნივთები გადმოზიდულ იქნენ თათავლის უბანში მყოფ წმინდა დიმიტრის ეკლესიაში. აი რას ამბობს ამაზე პამფილი მელიტინოსი: „თათავლის წმინდა დიმიტრის ეკლესიაში მოიპოება ოთხი ხატი, რომლებიც მომდინარეობენ კასიმ-ფაშის *) წმინდა დიმიტრის ძველის-ძველ ეკლესიიდან“.

ეს იმისთვის მოვიხსენიეთ, რომ ხშირად ლაპარაკობენ ქართულ ძველ სავანიდგან გამოტაცებულ ხატებზე, რომლებიც ვითომ გადმოეტანოთ ზემოხსენებულ წმინდა დიმიტრის ერთ-ერთ ეკლესიაში. დაუშვათ, რომ წმინდა ვენერანდის ანუ წმინდა პარასკევას ეკლესიას რაიმე დამოკიდებულება ჰქონდა იმ სავანესთან, სადაც წმინდა ილარიონი იყო დაკრძალული. ბევრი ვეძიეთ, მაგრამ თათავლის წმინდა დიმიტრის ეკლესიაში ვერავითარი ამის დამამტკიცებელი საბუთი ვერა ვნახეთ. ცხადია, ქართული ძველი სავანე აქ არ უნდა მოიძებნებოდეს. სხვათა შორის, ბ. დეთიეც შენიშნავს, რომ თათავლის უბანს და მის სამხრეთით ოქროს რქისკენ დაწოლება მდებარე დღევანდელ კასიმ-ფაშას, ბიზანტიურ ხანაში „მანდრაქიო“ ერქვათ. მაშ რომანის ადგილი სულ სხვაგან უნდა ვიგულისხმოთ და ამაზე უნ-

*) კასიმ-ფაშა პერის და გალათის დასავლეთით ოქროს რქის ნაპირას მდებარე უბანია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შეიკრიბოს ცნობები, რომ რაიმე ისტორიული კვალი აღმოჩნდეს ქართულ ძველ სავანეზე ანუ „წმინდათა მოციქულთა“ სახელწოდების იმ ეკლესიაზე, სადაც ქართველი წმინდა ილარიონი იყო დაკრძალული. დღეს კონსტანტინეპოლის ძველ ნაწილში მხოლოდ ორ მეჩეთს ვიცნობთ, რომლებიც ძველად „წმინდათა მოციქულთა“ სახელწოდების ეკლესიები იყვნენ; მაგრამ ნუ დავივიწყებთ რომ ბიზანტიის დროს, როგორც ბ. დუქანჟი მოწმობს, კონსტანტინეპოლში 29 ეკლესია იყო ამ სახელწოდებისა.

ქართულ ძველ სავანეზე სხვა ისტორიული ცნობა არა გვაქვს, გარდა შემდეგისა: 1195 წელს კონსტანტინეპოლში გაცარცვეს ქართველი ბერები, რომლებსაც წაართვეს თამარ მეფისაგან მიღებული საჩუქრები. გრიგოლ ვეშაპელის აზრით, ეს გახდა ომის გამოცხადების მახლობელი მიზეზი ბიზანტიის იმპერატორთან 1204 წელს.

ჯერჯერობით ქართულ ძველ სავანეზე ეს საკმარისია; მხოლოდ ამ სახის მცირე შეკრებილ ცნობებით საბოლოოდ ამოწურული არ არის ეს საყურადღებო საკითხი, რომელიც სამწუხაროდ ისტორიული წყვდიადითაა გარემოცული.

V. ფერი-კვეის ქართული სავანე.

ყველა იმ ნაშთთა შორის, რაც დღეს კონსტანტინეპოლში საქართველოს და ქართველი ახალშენის მოღვაწეობას თუ კულტურას წარმოგვიდგენს, უდიდესი ადგილი უკავია კათოლიკე ქართველ ბერების სავანეს. ამ საზოგადოებაში არიან თორმეტი მღვდელი და ექვსი ძმა. ამ სავანესთან ერთად ქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველ დების დაწესებულებაც არის, სადაც ოცდაორი სულია. ამ ორივე საზოგადოების წევრები თითქმის ყველანი მესხეთიდან არიან და ერთი მეორის ნათესავნი.

ფერი-კვეი, სადაც ქართული სავანე მდებარეობს, დღეს კონსტანტინეპოლის ახალი ნაწილის განაპირა უბანია. ქართველი მღვდლები ცნობილნი არიან მთელ ოსმალეთში და საბერძნეთში. ყოველი გვარის ხალხი და ხშირად სხვა და სხვა სარწმუნოებისაც დაიარება მათ ეკლესიაში, იმდენად სახელ-განთქმული სამლოცველოა იგი ოსმალეთის ძველ იმპერიის ფარგლებში. ეკლესია კოხტა შენობაა; გარეთ მშვენიერი ბაღი აქვს და შიგ ღვთისმშობლის, წმინდა ნინოს და წმინდა ანდრიას ძეგლები ასვენია. ამავე ეკლესიაში მარხია ქართველ მამების და დების სავანეთა დამაარსებელი, ახალციხელი მამა პეტრე ხარისჭირაშვილი.

ხარისჭირაშვილი დაიბადა ახალციხის ძველ ნაწილში, რაბათში, 20 აპრილს 1818 წელს და 24 წლისა, 1842-ში მღვდლად ეკურთხა პეტერბურგში. 30 იანვარს 1857 წელს გადმოიხვეწა საზღვარ-გარედ და იმავე წლის 24 მარტს მოვიდა კონსტანტინეპოლში.

უპატრონო და ღარიბი მწირი მამა პეტრე არავინ შეიკედლა; 7 მაისს გაუდგა უფრო შორეულ გზას; პალესტინაში დაჰყო 38 დღე. მკათათვის 14-ს სმირნაში დაბრუნდა, საიდანაც გაემგზავრა იტალიაში და იმავე თვის 28-ს ვენეციაში მივიდა. ამ ქალაქში 21 თვე იცხოვრა, დაბეჭდა ქართულ ენაზე რამდენიმე სასულიერო წიგნი და 1859 წლის აპრილის დამლევს მეორედ წამოვიდა ძველ ბიზანტიისაკენ.

კონსტანტინეპოლის იმ დროის ეპისკოპოზმა და რომის პაპის ნუნცმა, ე. ი. წარმომადგენელმა, დიდი დახმარება მისცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამა პეტრე ხარისჭირაშვილს; 7 მაისს 1859 წელშივე რომიდან ნებართვა მოუტანა ქართული სასულიერო საზოგადოების შედგენისა. მამა პეტრე ხარისჭირაშვილმა ფერი-კვეის განაპირას უბრალო საკუთარი ადგილი შეიძინა და 1861-ში საძირკველი ჩაუყარა თავის პატარა ეკლესიას და სავანეს, სადაც მიიცვალა 1890 წლის 9 ღვინობისთვეს. დღეს მისი დიადი დაწესებულება, მშვენივრად გადაკეთებული და გადიდებული, მოწყობილია თავისი საკუთარი ბაღით, სტამბით და წიგნთსაცავით.

ამ საზოგადოების მიზანი არის ქართველი ხალხის გამოღვიძება-აღორძინება სარწმუნოებრივად, პოლიტიკურად და კულტურულად. მამა პეტრე ხარისჭირაშვილმა და მის მიმდევართა თუ დღემდის სრულად ვერ განახორციელეს თავიანთი დასახული გეგმა, მხოლოდ იმისთვის, რომ იგინი ამავე გეგმის გამო ხშირად სასტიკად შევიწროებულნი იყვნენ ყველასაგან და ყოველნაირად და არც ჰქონდათ საკმარისი ნივთიერი საშუალება, რომ თავიანთი მოქმედებისათვის უფრო ფართე ხასიათი მიეცათ. ამასთან ერთად ყველა ამ საზოგადოების წევრს არ შეეძლო საქართველოში შესვლა რუსეთის წესებისა გამო.

დამფუძნებელის შემდეგ, ამ სავანის მეოთხე წინამძღვარი დღეს მამა პიო ბალიძე არის, რომელიც განსაკუთრებულ მამულის სიყვარულითაა გამსჭვალული. როგორც იგი ახასიათებს, ეს საზოგადოება დასაბამიდან დღემდის თავისი არსებობით უცხოეთში, ცოცხალი პროტესტის ნიშანი იყო რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის წინააღმდეგ. ნახევარ საუკუნის განმავლობაში, თუმცა ამ სავანის მამანი მიკლებულნი იყვნენ საქართველოს ხალხის კულტურულ ცხოვრებას, მაინც ეს სავანე აქ, უცხოეთში ეროვნულ კერად გარდაჰქმნეს, სადაც მუდამ არა მარტო მრავალ ქართველ ახალგაზდამ შეაფარა თავი, არა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედ მრავალ პოლიტიკურ მოღვაწემაც კი, განურჩევლად სარწმუნოებისა და მისწრაფებისა. ამავე საზოგადოების წყალობით, ვატიკანი და საფრანგეთის მთავრობა მარადის ეცნობოდნენ საქართველოს და ქართველების ისტორიას და თანამედროვე მათ პოლიტიკურ, ეკონომიურ, კულტურულ და რელიგიურ მდგომარეობას.

საქართველოს საზოგადოებანი და მოღვაწენი კარგად იცნობენ მღ. ივანე გვარამაძეს, რომელიც ამ საზოგადოებაში აღიზარდა. ამავე საზოგადოების წევრი იყო ცნობილი პატრი მიხეილ თამარაშვილი, რომელმაც ქართულ ენაზე თბილისში გამოსცა 1902 წელს „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით 13 საუკუნიდან ვიდრე 20 საუკუნემდე“ და 1904-ში „პასუხად სომხის მწერლებს, რომელნიც უარჰყოფენ ქართველ კათოლიკობას“. ამანვე ფრანგულ ენაზე დასწერა და 1910 წელს რომში, ვატიკანის საბეჭდავში გამოსცა საქართველოს ეკლესიის ისტორია, დასაბამიდგან დღევანდელ დღემდინ „L'Eglise Géorgienne dès origines jusqu' à nos jours“, სულ ახალი ისტორიული წყაროების მიხედვით, რომლებიც აღმოაჩინა ვატიკანის და იტალიის სხვა და სხვა წიგნთსაცავებში. მოულოდნელმა ტრაღიკულმა სიკვდილმა, 30 ენკენისთვეს, 1911 წელს მოსპო ამ დიდებულ ადამიანის დაუღალავი მოღვაწეობა. თამარაშვილს დარჩა დიდძალი ახალი საისტორიო მასალა, რომელიც მისმა მემკვიდრეებმა ქ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გადასცეს. თამარაშვილი ითვლება საქართველოს ისტორიის განმაახლებლად.

ამ სავანეში ყოველიფერი საქართველოს მოგაგონებს; აქ მოსული ქართველი სტუმარი უსათუოდ იგრძნობს მამულის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიყვარულის და თავის თავის უარის-ყოფის იმ ღრმა რწმენას, რომლითაც ეს თანამემამულენი აქ ცხოვრობენ, ნათესავ-მეგობრებს, ქართველობას და სამშობლო მიწა-წყალს დაშორებულნი. ეს სავანე იზიდავს ქართველს იმიტომაც, რომ შიგ ნახავს ბევრ საგანს, რომელიც მოაგონებს საქართველოს ხალხის წარსულს თავისი სიძლიერისა და სისუსტის ხანებით და აღუძრავს მომავალ არსებობის ძალას.

უცხოეთში გადმოტყორცნილო ქართველო რა რწმენისა და მისწრაფებისაც გინდა იყო, მოდი ამ სავანეში და აქ ნახავ შენ თანამემამულეთა ძმურ, შინაურ და ზრდილობიან დახვედრას; მალე იგრძნობ, თვალით ნახავ არა მარტო შიგ მცხოვრებ ქართველების სახეზე შენი ქვეყნის და შენი ერის დიდებას, მწუხარებას, არამედ ამას კედლებიც მეტყველებენ. აი, აქ არის სულ უბრალოდ დახატული ქართველ წმინდათა და მეფეთა ხატები და სამეფო გვარის ღერბი. საპატიო ადგილასაა თამარ მეფე, გამომხატველი ქართველი ერის სიძლიერე-აღორძინებისა და დიადი კულტურისა და მის გვერდით დავით მეფე, სურათი წარსული დიდებისა. აქვეა მგოსანი მესხი შოთა რუსთაველი, მისნი მიმდევარნი და გიორგი სააკაძე. ერთი შეხედვით, ესენიც გიმეტყველებენ და გიწვევენ სამშობლოსა და ქართველი ერის საკეთილდღეოდ: პირველნი განვითარებისაკენ და უკანასკნელი სასტიკი ბრძოლისაკენ. ამათთან ერთად ამ სავანის დამაარსებელის და მის მოწაფეთა სურათებიც გვიკარნახებენ ზნეობას, მოვალეობის ასრულებას, სარწმუნოებას და ღრმა რწმენას მომავალი აღორძინებისა და დიდებისა.

შევიაროთ ეკლესიაშიც და დავაკვერდეთ ღვთის-მშობლის საკურთხეველს; მაღლა სწერია: „მარიამ ქართველთა მხსნელი“ და ძირს წმინდა საკურთხეველის ქვაზე „მარიამ ღვთის-მშობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლო, ივერიის, მოციქულო მეოხ მეყავნ ჩვენ ცოდვილთა ქართველთა". მაღლა სდგას უსიტყვოდ ქალწული ნინო და თავის ვაზის ჯვარით გვაძლევს ზეციურ კურთხევას და ნუგეშსა. სულით განახლებული წადი ქართველო და ჩაები ცხოვრების ტალღებში... შენ თუ არა, შენი შვილი ან შვილის-შვილი მაინც ნახავს ბრწყინვალე ხანას საქართველოსას და ქართველი ხალხისას.

როგორც ზემოდ (იხ. გვ. 20) შევნიშნეთ, კონსტანტინეპოლის ქართველთა ახალშენის სამრევლო ეკლესიად ირიცხებოდა წმინდა პეტრეს ეკლესია გალათაში. 1882 წელს, ამათი სასულიერო მოვლა გადაეცა ქართველ მღვდლებს, რომლებსაც ამ ომამდე, პერის უბანში, პაპას-კვეპრშიც ჰქონდათ პატარა სასწავლებელი და ეკლესია. 1910 წელს თვით სავანის ეკლესია სამრევლო ეკლესიად გახდა და უდიდეს დღესასწაულებში ქართველებიც აქ მოდიან.

1875 წელს რომის „პროპაგანდას", სხვა და სხვა პოლიტიკური მიზეზების გამო, სავანის წინამძღვარისათვის აეკრძალა ქართულ წესზე მღვდლების კურთხევა. ეს იყო, როგორც გავიგეთ, სომხების გავლენა; მათ ეშინოდათ, ქართული წესით ქართველ კათოლიკე მღვდლებს მათთვის არ ჩამოეშორებინათ საქართველოს კათოლიკე ქართველები, რომლებსაც სომხებად სთვლიან იგინი *). ამ მიზეზთან ერთად მეორეც იყო: რუსეთის მთავრობა არ სცნობდა ქართველ კათოლიკეებს და არც იღებდა

*) ოსმალთა მიერ მესხეთის დაპყრობის შემდეგ, სომხური წირვა-ლოცვა ძალდატანებით შემოვიდა ქართველ კათოლიკეებში; თან და თანობით მათი სასულიერო მართველობაც სომხებმა ჩაიგდეს ხელში. რადგან ამ უკანასკნელმა, სარწმუნოებისა და წესის წყალობით, სომხურ პოლიტიკის წარმოება დაიწყო და ჩვენ კათოლიკეებს გადაგვარება მოელოდათ, ამ 30—40 წლის განმავლობაში ყოველთვის იყო კამათი და ბრძოლა მათ წინააღმდეგ. დღესაც ეს საკითხი არ არის დამთავრებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის საზღვრებში უცხოეთში გაწვრთნილ კათოლიკე მღვდელს, რათა გარუსების პოლიტიკას ხელი არ შეშლოდა.

დღეს ყველა ეს სიძნელე მოისპო; რომმა ყველა ქართველი კათოლიკე, როგორც ლათინური წესისა, ისე სომხურისა, ერთ მმართველობაში შეაერთა; დანიშნა თბილისში ქართველ კათოლიკეებისათვის ცალკე ეპისკოპოზი და მოითხოვა, რომ ყველა კათოლიკეებმა მიიღონ, რაც შეიძლება ადრე, ქართული წესი.

დასასრულ შევნიშნავთ, რომ ფერი-კვეის სავანე არ არის მარტო სასულიერო დაწესებულება, არამედ მასთანვე ერთად პოლიტიკურიც, რამდენათაც სარწმუნოება და პოლიტიკა ერთი მეორეს არ ეწინააღმდეგებიან და ერთი მეორესთან შეკავშირებულნი არიან. ამ სავანის ქართველ კათოლიკე მღვდლები უკანასკნელ საშინელ ომის დასაწყისიდან დღემდის არ დაერიდნენ თავიანთი საზოგადოების არსებობის განსაცდელში ჩაგდებას და გამსჭვალული დიდებულ მომავალის რწმენით საქართველოს თავისუფლებისათვის პირნათლად შეასრულეს თავიანთი მოვალეობა. ამათი სასყიდელი მხოლოდ ის იქნება რომ თავისუფალმა საქართველომ და ქართველმა მოღვაწეებმა მისცენ მათ როგორც საქართველოში, ისე საზღვარ გარედ უფრო მეტი ზნეობრივი დახმარება და ყოველ გვარი საშუალება, რათა უფრო ფართე ფარგლებში შესძლონ მათ მოღვაწეობა საქართველოში და ქართველ ხალხში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მესამე.

I. კონსტანტინეპოლი და ვაჭრობა საქართველოსთან.

ძველი ხმელეთის (ევროპის) აღმოსავლეთ განაპირას მდებარე კონსტანტინეპოლი მუდამ იყო გზა ევროპისა და აზიის შორის. უძველეს დროიდანვე ეს იყო ქალაქი, რომელსაც ყველა მპყრობელი თავის ძლევა-მოსილობის და გამარჯვების გზაზედ სრბოლაში შესასვენებელ ქვაკუთხედად ირჩევდა. ორი სრუტისა, დარდანელის, და ბოსფორის შორის ბუნებრივათ გამაგრებულ ამ ადგილს რამდენადაც პოლიტიკური, იმდენად ეკონომიური მნიშვნელობა ჰქონდა, რის გამო აქ ყოველთვის ფრიად განვითარებული იყო სავაჭრო დაწესებულებანი და სახლები.

არგონავტები, რომლებიც უუძველეს ხანაშივე სარგებლობისა და სიმდიდრის აღგზნებული მოტრფიალენი იყვნენ, ერთ ხანს ამ ქალაქში შეჩერდნენ, ვიდრე წავიდოდნენ იმ ქვეყანას, სადაც იზიდავდა მათ მომხიბვლელი ოქროს წყურვილი. ამავე გზით გაიარა ალექსანდრე მაკედონელმა, რომელმაც შემუსრა გახრწნილი ‌ და ხავსმოკიდებული ძველი სპარსეთის იმპერია.

კონსტანტინეპოლს წინად ისეთი დიდი მნიშვნელობა არა ჰქონდა როგორც ბიზანტიელების დროს; ძველი რომის იმპერატორებმა თავიანთი ტახტი გადმოიტანეს თუ არა სტამბოლში, იგი გარდიქცა არა მარტო კულტურისა და განათლების

ეროვნული ბიბლიოთეკა

უძლიერეს კერად, არამედ ამასთან ერთად მსოფლიო ვაჭრობის ერთ საუკეთესო ბუდედ. ოსმალთა მიერ დაპყრობამ მოსპო როგორც მისი ადმინისტრატიული წესწყობილობა, აგრედვე შეაფერხა დიდი ხნით მისი კულტურული და ეკონომიური აღორძინება-განვითარება. ამისდა მიუხედავად ეს ბუნებრივი და მშვენიერი ნავთ-საყუდარი ისევე დარჩა შემაერთებელ გზა-ხიდად ორივე ხმელეთისა, აზიისა და ევროპის და არას დროს არ დაუკარგავს თავისი უდიდესი ღირებულობა და მნიშვნელობა.

ამ უკანასკნელ წლებამდე აქ ხდებოდა დასავლეთის განათლებულ ხალხთა და მთავრობათა ყოველ ნაირი პოლიტიკური და ეკონომიური ქიშპობა, რადგან კონსტანტინეპოლს როგორც ძველად, ისე დღესაც აქვს არა მარტო პოლიტიკური, არამედ უაღრესი კულტურული და ეკონომიური მნიშვნელობა. სხვა და სხვა ლტოლვის და ინტერესების შეჯახება-ქიშპობას ამ უკანასკნელ საერთაშორისო საშინელმა ომმა მოუსწრო და როდესაც ოსმალეთის მთავრობამ ორივე სრუტე შეჰკრა, ყველა დარგში უკან დახევა თუ არა, შეფერხება მაინც ფრიად საგრძნობელი გახდა, რამაც გამოიწვია კონსტანტინეპოლის სულიერ-გონებრივი და ნივთიერი დაქვეითება.

სხვა და სხვა ფრიად საინტერესო და საყურადღებო საკითხებს აქ არ შევეხებით რადგან ჩვენ განსაზღვრულ მიზანს დაგვაშორებს; მხოლოდ მოკლედ უნდა ითქვას, რომ ვაჭრობა კონსტანტინეპოლში თითქმის მოისპო, რადგან საქონლის მოტანა ომის გამო თავისთავად შეზღუდული იყო და ბალკანეთის გზით მხოლოდ ის საქონელი მოდიოდა, რომელიც გერმანიასა და ავსტრიას შეეძლო გამოეგზავნა.

1918 წლის 30 გიორგობისთვეს ომიანობა შეჩერდა თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა, სრუტეებიც გაიხსნა; კონსტანტინეპოლი გამოცოცხლდა და მისი მრეწველობა განახლდა, რომელიც დღითი დღე იზრდება. სამწუხაროდ, დღევანდელ ბატონ-პატრონებს, დასავლეთის მთავრობათ, კიდევ არ გადაუწყვეტიათ ამ კოსმოპოლიტურ ქალაქის ბედ-იღბალი: თუ კონსტანტინეპოლის მაზრა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ანუ საერთაშორისო ნავთ-სადგურად გადაქცა, იგი მსოფლიო მრეწველობაში ერთ უდიდეს ადგილს დაიკავებს.

ჩვენ უკვე ზემოდ ვსთქვით, რომ კონსტანტინეპოლი ორივე ხმელეთის, ესე იგი აზიის და ევროპის გზა და ხიდია და აქ ყოველთვის თავს იყრის ყოველნაირი საქონელი; ამისთვისაა, რომ ქართველი ვაჭრები აქ მოდიან საქონლის შესაძენად. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ თითოოროლა ვაჭარი ძლივს ბედავდა სტამბოლში სავაჭროდ ჩამოსვლას; დღეს კი ასობითა ვხედავთ წამსვლელ-მომსვლელ სხვა და სხვა ტიპის ვაჭრებს. ამათ გარდა, საქართველოდან ბევრ სხვათაც მუდმივი ვაჭრული და ფინანსიური კავშირი აქვთ აქაურ სხვა და სხვა გვარის მრეწველებთან.

კონსტანტინეპოლის სადამოჟნო აღრიცხვით, 1919 წლის მარტში ვაჭრობა საქართველოსთან თითქმის სრულიად არ იყო. აქედან გატანილი სავაჭრო საქონელი შეფასებულია 53250 მარჩილად *). ეს მდგომარეობა იმ წლის თიბათვემდის უცვლელი დარჩა. მხოლოდ 1919 წლის 25 ქრისტეშობისთვიდან ვიდრე 1920 წლის თებერვლამდე მარტო გალათის საბაჟო აღნიშნავს ბათუმისკენ გატანილ საქონლის წონას 105,677 კილოს **) და ამის შეფასების ჯამს 2,527,375 მარჩილს.

*) მარჩილი ესე იგი პიასტრი ანუ ყურუში, ომის წინ უდრიდა დაახლოვებით 7 კაპეიკს; ასი მარჩილი ერთი ლირაა.

**) კილო უდრის ორნახევარ გირვანქას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონსტანტინეპოლის ვაჭრობა უცხოეთიდან შემოტანილ საქონლის გასაღებაში მდგომარეობს; თავისით ჯერ-ჯეროობით არაფერსა ჰქმნის, თუმცა თავის შინაურ ცხოვრებისათვის ბევრი მასალა სჭირდება. საქართველოს სავაჭრო საქონელი, რომელიც აქ ადვილად საღდება შემდეგნია: ნახშირი გემებისათვის, ხე-ტყე საწვავად და შენობა-ავეჯეულობისათვის, ღვინო, ყველი, თევზეულობა, ერბო, ხილი და სხვა. ყველა ამ საქონელს აქ დიდი გასავალი აქვს, მხოლოდ საჭიროა ქართველმა ვაჭრებმა რიგიანად მოაწყონ მისი სათანადო ჩამოზიდვა.

ლიახვის ქართველ საზოგადოების მიერ ქ. გორიდან ხილის აქ ჩამოტანის ცდამ თვალსაჩინო სარგებელი დასტოვა. კერძო პირებმაც სხვა და სხვა ხარისხის დიდძალი ხილი ჩამოიტანეს ახალციხის მაზრიდან და ამათაც კარგი მოგებით გაასაღეს კონსტანტინეპოლის ბაზარზე.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, ქართველი ვაჭრები და ქართული სამრეწველო საზოგადოებანი დიდ ყურადღებას მიაქცევენ კონსტანტინეპოლს და შეეცდებიან მოაწყონ უფრო ფართე ვაჭრული დამოკიდებულება და მიმოსვლა ამ მსოფლიო ქალაქთან.

II. ვაჭრობა საქართველოსა და იტალიას შორის.

კონსტანტინეპოლის შემდეგ იტალიის ბაზარმა ყველაზე მეტად მიიზიდა ქართველი ვაჭრები. თუმცა ეს საკითხი, როგორც შემდეგი, ამ ჩვენ წიგნში დასახულ მიზნის გარეშეა, მაინც ორიოდე სიტყვას ვიტყვით, რადგან საქართველოს ვაჭრები ყოველ წასვლა-წამოსვლაზე ამ ქალაქში ჩერდებიან და ცოტად

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ბევრად თავიანთ სავაჭრო საქმეებს შემთხვევით აქაც აწყობენ.

ნამდვილ წყაროებიდან დავრწმუნდით, რომ ჯერ-ჯეროობით იტალიის სავაჭრო ბაზარი უფრო მეტ სარგებლობას იძლევა, რადგან ჩვენი ვაჭრები პირდაპირ საქონლის დამმუშავებლებისგან (მექარხნეებისგან) ანუ დიდ დაწესებულებათაგან ყიდულობენ საქონელს, რაიც ფასებში დიდ განსხვავებას აძლევს მათ. დაკლებულ ფასის გარდა, მეტი საშუალება აქვთ ჩვენ ვაჭრებს აირჩიონ სხვა და სხვა საქონელი და სხვა და სხვა ხარისხისა, როგორც თვითონ სურთ და შეეფერება საქართველოს ხალხსა და მის დღევანდელ მოთხოვნილებას.

ხშირად ვესაუბრეთ იტალიიდან მომავალ ქართველ ვაჭრებს და შემდეგი დასკვნა გამოვიტანეთ: იტალია თვალსაჩინო და პირუთვნელ მეგობრობას იჩენს საქართველოსადმი; ამის გამო საქართველოც ბუნებრივად მისკენ მიილტვის. სასიამოვნოდ აღვნიშნავთ რომ ბევრმა ქართველმა თავის სხვა და სხვა სამრეწველო საქმეებისათვის თვით სესხის აღებაც შესძლო იტალიაში. ეჭვს გარეშეა, ეს დიდი შეღავათია ჩვენი სუსტი ვაჭრებისათვის. ამის გარდა, რამდენიმე თვის წინად იტალიელი მექარხნეები თუ მრეწველები უკვე დათანხმდნენ თავიანთი საქონლის საფასური ბათუმში მიიღონ ქართველ ვაჭრებისაგან.

იტალიურ საზღვაო საზოგადოებათ მოაწყეს წესიერი მიმოსვლა ნაპოლის, ბრინდიზის, თარანთოს, ბათუმის და ფოთის შორის; მგზავრობა თუ საქონლის გაგზავნა-მიღება იტალიის და საქართველოს შორის არავითარ დაბრკოლებას აღარ განიცდის. საქართველოს საკონსულო კონსტანტინეპოლში ყოველგვარ საშუალებას აძლევს აქ ჩამოსულ ქართველ ვაჭრებს, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვიდობიანათ იმგზავრონ იტალიაში და მათი პიროვნება და ქონება უზრუნველ იყოს.

III. საზღვაო მიმოსვლა საქართველოს, იტალიის, საფრანგეთის, ინგლისის და ჰოლანდიის ნავთსადგურ ქალაქებს შორის.

ერთი რომელიმე ქვეყნის და მის ხალხის აღორძინება და თვით დამოუკიდებლობა დამყარებულია არა მარტო შინაგან და გარეგნულ პოლიტიკურ მიზეზებზე, არამედ ეკონომიურ სიძლიერე-განვითარებაზედაც. ახლად განთავისუფლებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ამას ძალიან ხვდებოდა, მაგრამ დანგრეულ რუსეთის ქონებიდან არც ერთი სავაჭრო გემი არ შერჩა მას, რომ თვითონვე მოეტანა საზღვარგარეთიდან ყველა ის საქონელი, რომელიც აუცილებლად საჭირო იყო მისი ქვეშევრდომებისათვის. კერძო მეცადინეობამაც ფართე ხასიათი ვერ გამოიჩინა და სრულებით ვერ დააკმაყოფილა ქართველი ხალხის აუცილებელი მოთხოვნილება, რომელიც ამ საერთაშორისო ომით იყო გამოწვეული.

როდესაც ჩვენი მთავრობა, მიუხედავათ ყველა სიძნელისა ცდილობდა თავისი ხალხის ეკონომიური მდგომარეობა გამოებინა და შეეძინა თანამედროვე ყველა საშუალებანი, რომ დამოუკიდებლად ემოქმედნა, მაშინ უცხო სახელმწიფოების გემებმა შავი ზღვის ნავთსადგურებისა და ევროპის სხვა და სხვა ქალაქების შორის, თუმცა გვიან მაგრამ ფრიად სასარგებლო და წესიერი მიმოსვლა დაიწყეს. იტალიურ ზღვით—მოგზაურობის საზოგადოებანი „ლოიდ თრიესთინო“ და „ადრია“ თავიანთ კარგად მოწყობილ გემებით ნახევარ თვიურ მიმოსვლას აწარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოებენ: პირველი საზოგადოების გემები თრიესთინოდან მონავალნი თუ ფოთიდან წასულნი, ყოველთვის შეივლიან ხოლმე როგორც შავი ზღვის აგრეთვე იტალიის ზღვების ყველა ნავთსადგურებში. მეორე საზოგადოების გემები კი ნაპოლისა და ბათუმის შორის მიმოსვლაში ჩერდებიან მხოლოდ კონსტანტინეპოლში და ტრაპიზონში.

ამათ გარდა ფრანგის საზოგადოება „პაქე“ კი ბათუმის და მარსელის შორის ყოველ თვიურ მიმოსვლას აწარმოებს ოთხი გემით. კიდევ ერთ სხვა იტალიურ საზღვაო საზოგადოებამ უფრო დიდი მიმოსვლა მოაწყო: საქართველოს ნავთსადგურები დააკავშირა ინგლისის და ჰოლანდიის ნავთსადგურებთან. სხვა მრავალი სხვა და სხვა ეროვნების გემები და განსაკუთრებით ბერძნებისა კონსტანტინეპოლსა და ბათუმს შორის დაიარებიან; ყოველ კვირეული სამი მიმოსვლა არის.

ჩვენ კი დარწმუნებული ვართ, რომ მწუხარე და დასისხლიანებული კაკობრიობა მალე გაიკურნება და აღადგენს ხმელეთზე და ზღვაზე სანატრელ—ამაღორძინებელ მშვიდობიანობას და დასავლეთის თუ აღმოსავლეთის სხვა და სხვა კულტურულ და ეკონომიურ შემოქმედება-დაწინაურებაში ჩვენი პატარა, მაგრამ ბუნებრივად მდიდარი საქართველოც გამოიჩენს უსათუოდ საქებარ უნარსა და ენერგიას.

IV. კონსტანტინეპოლში ქართველ ახალშენის დღევანდელი ვაჭრული საქმიანობა.

ვინაიდან საქართველოს დღევანდელმა პოლიტიკურმა მიმდინარეობამ გამოიწვია მრავალ ქართველის გადმოხვეწა და მითვე აქაურ ახალშენს ვაჭრულ ნიადაგზე სულ ახალი ელფერი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიკოცხლე მისცა, საჭიროდ დავინახეთ ამ წიგნის დაბეჭდის დროს, რომ უფრო ვრცლად ვისაუბროთ ახალშენის დღევანდელ ვაჭრობის გაძლიერება-აღორძინებაზე.

ამ წიგნის მეორე თავის პირველ ნაწილში გაკვრით შეეხეთ კონსტანტინეპოლის ქართველთა ძველ ახალშენის ვაჭრობას და ამავე თავში უფრო ვრცლად ვილაპარაკეთ და აღვნიშნეთ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობამ ახალი მიმართულება მისცა ქართულ ვაჭრობას. საქართველოს მიწის ბუნებრივი მოსავალი ევროპის და განსაკუთრებით კონსტანტინეპოლის ბაზარზე ძალიან მიღებულია; ძალიან ადვილადაც საღდება ხელნაკეთი, სავაჭრო საქონელი და სხვა და სხვა სურსათი; მხოლოდ საჭირო კია რიგიანად მოწესრიგდეს საქონლის გამოტანის საკითხი.

დღეს ვაჭრობა იმ სახითაა დაყენებული, რომ ყოველივე სარგებლობის გამოსაღებად არ კმარა საკუთარი სავაჭრო საქონელის პიროვნულად შექმნა, არამედ ამასთან საჭიროა საკუთარივე საშუალებით წაღება-მიტანა იმ ქვეყნებში, სადაც მათ გასასყიდლად საკუთარი საწყობები და სავაჭრო სახლები უნდა იქნეს მალე შეძენილი, თუ უკვე არ არსებობენ.

1918 წლის გიორგობისთვეში მოკავშირეთა და ოსმალეთის შორის ომიანობის შეწყვეტამ კონსტანტინეპოლის შესავალი კარები გახსნა და შავი-ზღვის მონაპირე ქვეყნებს ამით საშუალება მიეცათ აღედგინათ მიმოსვლა დანარჩენ ქვეყნებთან.

მაშინვე იტალიელ საზღვაო საზოგადოებათა მოაწყეს წესიერი მიმოსვლა საქართველოსა და იტალიის ნავთსადგურების შორის; ამათ მალე წაჰბაძეს სხვა და სხვა მთავრობის საზღვაო საზოგადოებათაც. თვით კონსტანტინეპოლი, აღმოსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლეთის პოლიტიკურ სხვა და სხვა თანამედროვე მოვლენის შემდეგ, თავისი გეოგრაფიულ მდებარეობით დღითი-დღე იღებდა განსაკუთრებულ მდგომარეობას, რომელიც იყო ხელ-შემწყობი და დამხმარებელი მის და მახლობელ აღმოსავლეთის შორის ვაჭრობის ზრდა-აღორძინებისა. მალე ძველი ბიზანტია გარდიქცა გარედ გასაყიდ და საშინაო სავაჭრო საქონელთა ერთ უზარმაზარ საწყობად. ესაა მიზეზი, რომ იზრდება რიცხვი ქართველ ვაჭრებისა, რომლებიც აქ მოდიან საყიდლად ანუ გასაყიდად თავიანთი საქონლისა. ადგილობრივ ვაჭრობას მიეჩვივნენ, ძველადგან აქ ყოფილ ქართველი ვაჭრების დახმარებით აღებ-მიცემა მოაწყეს, ზოგიერთმა მათგანმა გახსნა გადასაცვლელ-დასახურდავი (საზარაფო) დუქნებიც კი. ეს პირველი აუცილებელი საშუალებაა ახალშენისათვის, რომელიც იწყებს თავის თავის განახლება-მოწესრიგებას.

ძველ ახალშენთა ისტორიაში ვხედავთ, რომ „ეროვნული ბანკები“ (les banqnés nationaux) ყოველთვის თან დაჰყვებოდნენ თვითეულ ახალშენის პირველ საბინაო და სავაჭრო დაწესებულებებს. ამ მაგალითს ვხედავთ, როგორც ვენეციის და გენუის რესპუბლიკათა ახალშენებში, აგრეთვე დანარჩენ ლათინთა ახალშენებში, რომელთაც ჰქონდათ ყოველთვის თავ-თავიანთი „მაჰონა ანუ ბანკი“. ასე აქ დაბინავებული რამდენიმე ქართველი ვაჭარი შუამავალი იყო საქართველოს ვაჭრებისა, რომელთაც ყოველთვის აუარებელი სიძნელე ელობებოდათ წინ ადგილობრივი ახალი სხვა და სხვა პირობების და ენის უცოდინარობის წყალობით; მიუხედავად ამ სიძნელისა იმდენად გაფართოვდა ქართველი ვაჭრების საქმეები, რომ წინმსვლელობა დღითი-დღე თვალსაჩინო იყო.

ქართველთა ვაჭრობის ზრდაში და ამის საწინააღმდეგო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბრკოლებების მოსპობაში ღირს შესამჩნევი ღვაწლი მიუძღვის აქაურ კონსულსაც. მხოლოდ შევნიშნავთ, რომ დასაწყისში როდესაც, 1919—1920 წლამდის ბ. გრიგოლ რცხილაძე ქართველი მთავრობის წარმომადგენელად იყო კონსტანტინეპოლში, საქართველოს კონსულის, ბ. იოსებ გოგოლაშვილის მეცადინეობა რამდენიმედ უნაყოფო იყო, მაგრამ შემდეგ კი, როდასაც 1920 წელს იგისაყოველთაო კონსულად დაინიშნა, ამ უკანასკნელმა ქართველ ვაჭრებს ყოველნაირი დახმარება და მფარველობა აღმოუჩინა, რამაც ძალზე შეჰმატა ქართველების ვაჭრობის ზრდა-გაფართოებას. კონსულის უზომო ხასიათის მფარველობამ დიდი ნაყოფი გამოიღო; ამ უკანასკნელ ხანებში, როგორც სხვაგანაც ვსთქვით, ყოველ კვირაში საქართველოდან კონსტანტინეპოლში ქართველი ვაჭრები ასობით მიდი-მოდიოდნენ. იმდენად მრავალრიცხოვანი იყო ქართველი მგზავრები და ყოველთვის აღემატებოდა სხვა გვართა მგზავრებს, რომ ბათუმიდან მოსულ იტალიურ გემს „ქართულ გემს“ (bapore georgiano) ეძახდნენ.

ყოველი ეს მიმოსვლა მხოლოდ დროის საჭიროებით იყო გამოწვეული და როგორც წარმავალი ძალა-უნებლიეთ უნდა გამოცვლილიყო. ვაჭრები თვითონვე მოგზაურობდნენ სხვა და სხვა მიზეზების გამო; უპირველესად საჭირო იყო გასცნობოდნენ უცხოეთში ნაწარმოებ საქონლის ფასსა, რომელიც ძალზედ ცვალებადი იყო, გაეგოთ ფულის ღირებულება და ხელსაყრელ პირობებში გადაეცვალათ, და უმეტესად, ვინაიდან ფოსტა წესიერად არ მიმოდიოდა, ნაყიდი საქონლის ოფიციალური ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესენი რასაკვირველია, შესძლებდნენ მოწესრიგებას და წინგაძღოლას იმ ფართე მომავალ ასპარეზისა, რომელიც აქვთ საქართველოს დაუმუშავებელ და ხელნაკეთ ნივთებს და სხვა და სხვა სასურსათო საქონელსა.

ამ მიზნის განსახორციელებლად ერთი უდიდესი საშუალებათაგანი იყო „ცენტრო ბანკის“ განყოფილების გახსნა კონსტანტინეპოლში. ვინაიდან ამ ქართულ ფინანსიურ-დაწესებულებას დიდი ნდობა ჰქონდა მოხვეჭილი საქართველოში, ბევრი იმედები გვქონდა დამყარებული მასზე. პირველი თვეები ამ განყოფილებამ ადგილობრივი პირობების გამოცდა-შესწავლას მოანდომა და როდესაც მოეწყო, სწორედ მაშინ ახალმა პოლიტიკურმა მოვლენამ მისი საქმიანობა შეამცირა და შეზღუდა.

როგორც მკითხველი ხედავს, კონსტანტინეპოლის ქართული ახალშენი ნელ-ნელა თვალ-საჩინო მნიშვნელობას ღებულობდა. ხელ-ნაკეთ საქონლით მოვაჭრე ზოგიერთი ქართველი აქ დაბინავდა, რადგან კავკასიას ფართლეულობის დიდი მოთხოვნილება ჰქონდა. პერის და გალათის უბნებში გახსნეს ახალი სასადილოები და სასტუმროები, სადაც განსაკუთრებით ახალი მცხოვრები და წამსვლელ-მომსვლელი ქართველები შედიოდნენ. ადგილობრივი ჟურნალები, განსაკუთრებით ფრანგული, ეკონომიურ-ვაჭრული გამოკვლევების წერილებს ბეჭდავდნენ დრო-გამოშვებით, რათა უცხოელებისთვის გაეცნოთ არა მარტო საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრე, არამედ მისი მიწის ზედა თუ ქვე-მოსავალი და სხვა და სხვა სასურსათო საქონელი, რომელსაც კონსტანტინეპოლის ბაზარზე დიდი გასავალი აქვს დასაწყისიდანვე, როგორც ღვინომ და სხვადა სხვა სასმელებმა, აგრეთვე ხილეულობამ უპირველესი ადგილი დაიჭირეს. პირველი იყო „ლიახვის“ საზოგადოება, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელმაც აქაურ „ცენტრობანკის“ საშუალებით ფართეთ მოაწყო გორის ხილის გამოზიდვა კონსტანტინეპოლში და აქაურ ბაზრის დიდ მოთხოვნილებამ გვიჩვენა, თუ რა დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია ამ ფასოვან ხილეულობას მწარმოებელისთვის. გორის ხილის გარდა, ახალციხიდანაც ჩამოვიდა დიდძალი სხვა და სხვა ხარისხის ხილი, რომელიც საჩქაროდ გასაღდა. მხოლოდ სარგებლობა მეტი იქნებოდა საზოგადოდ, რომ გამოგზავნა უკეთეს პირობებში და უფრო წესიერად მოწყობილიყო.

ამასთან ერთად ნახშირი გემების საჭიროებისათვის და საამშენებლო მასალა, ხე-ტყე, არიან უმთავრესი საგნები, რომლებსაც კონსტანტინეპოლის ბაზარზე დიდი და სწრაფ-მახლობელი გასავალი აქვთ ქართულ მრეწველობის სასარგებლოდ.

ეს წარმატებითი მსვლელობა ხდებოდა თუმცა ნელა, მაგრამ მტკიცე ნაბიჯით. მოულოდნელად, საქართველოს დღევანდელ პოლიტიკურ ცვლილებამ აიძულა კონსტანტინეპოლში ჩამოსულიყო ერთი მოზრდილი ნაწილი შემქმნელ-მწარმოებელი ძალებისა. დღეს აქ ვხედავთ დაბინავებულთ სხვა და სხვა პოლიტიკურ მოღვაწეებთან, მწერლებთან და მსახიობებთან ერთად დიდ მრეწველებს, ვაჭრებს და თვით ზოგიერთ მევახშეებსაც.

ამ გარემოებამ აქაური ქართველი ახალშენი ისე ააღორძინა და გააფართოვა, რომ მისთვის ეს მოულოდნელი და წარმოუდგენელი იყო. სასურველია, რომ დღეს აქ დაარსდეს სამრეწველო დაწესებულება, რომელსაც დროებითი ხასიათის არ ექნება.

კონსტანტინეპოლში უკვე მუშაობს სხვა და სხვა სამრეწველო საზოგადოება: საზოგადოება „პრომეთე“ (ამირანი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხდის სხვა და სხვა სასმელებს; „მარგო“-ს საზოგადოების გაუმ-ჯობესებულ დამწმენდს ბადალი არა ჰყავს მთელ კონსტანტი-ნეპოლში. ამ ქარხნებს დიდი განვითარება მოელით, თუმცა საფრანგეთიდან და იტალიიდან მოტანილი და ადგილობრივ გაკეთებული ღვინოები დიდ მეტოქეობას უწევენ. არის კიდევ კავკასია-თურქესტანის სავაჭრო საზოგადოება „კავთურა“, სა-ზოგადოება ქართულ-სომხური, რომელიც ეკუთვნის ჯორჯაძეს და ძმათა აგრიევებს; ესეც აკეთებს და ჰყიდის ღვინოებს და სხვა და სხვა სასმელებს. მიხა ლორთქიფანიძის, ილია ქარცივა-ძის და ბუხუტი მიქელაძის საზოგადოება „შაქარი“ ყოველ ნაირ საზოგადო და კერძო სავაჭრო საქმეებს კისრულობს. და-სასრულ, ჭიათურის მარგანეცის მექარხნეთა საზოგაგოება „ჩემო“-ს თბილისიდან კონსტანტინეპოლში გადმოსვლა სულ შემთხვევითი და დროებითია.

ამათ გარდა კიდევ არის თითო-ოროლა ჯგუფი ქართვე-ლებისა, რომელთაც პერაში და სხვაგან გახსნეს კაი სასადი-ლოები. საერთოდ ქართველების ასეთი მეცადინეობა აძლევს დიდ სარგებლობას არა მარტო კერძო პირებს, არამედ თვით კონსტანტინეპოლის ახალშენსაც, რომელსაც ეტყობა სულ ახალი ელფერი და სიცოცხლე.

ყველა ეს, შესაძლებელია დროთა განმავლობაში, ანუ ახალი რომელიმე პოლიტიკური მოვლენის წყალობით შესუსტდეს ან მთლად მოისპოს; ამისათვის აუცილებლად სა-ჭიროა, რომ ქართველი მსხვილი მრეწველები და ფინასისტები შეთანხმდნენ და საერთო ძალებით მტკიცედ ფართე ასპარეზი მისცენ ყოველგვარ ქართულ ვაჭრობას კონსტანტინეპოლში, სადაც ქართველ ხალხს ყოველთვის ჰქონდათ და ექნებათ მუ-დმივი მიმოსვლა და საქმეები. ამასთან ერთად არ უნდა დავი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიწყოთ, რომ სხვა უფრო დიადი საქმე მართებს კონსტანტინეპოლის ახალშენს; საჭიროა დაუყონებლივ დაარსდეს მათ შორის ერთი კულტურული საზოგადოება, რომელიც ხშირად მათ ერთ ადგილს თავს მოუყრის, დაიკავს და ააღორძინებს მათ შორის არა მარტო ეროვნულ ზნეობას, კულტურას და პოლიტიკურ მოთხოვნილების ზრდას, არამედ ძმობას და ერთობასაც, რომლებიც თავდები არიან მომავალში მათივე განვითარებისა.

n3/1932

ეროვნული
ბიბლიოთეკა

F13.740
4
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი 20 მარჩილი